

პრესომბუდსმენი A5



ტოპმოდელი თბილისშია A7



Pro... Group გვირაბში A8



www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 12 დეკემბერი, 2005 წელი. №275 (1135)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### აჭარაში "ქვიშის კარიერის გენერლები" მომრავლდნენ

ისინი ქუჩებშიც ცხოვრობენ, სადარბაზოებშიც და სარდაფებშიც. ბოლო დროს კი ბათუმის მესამე იზოლატორიც შეავსეს. აღმოჩნდა, რომ მათ პატრონობას ვერც მშობლები და ვერც სახელმწიფო კისრულობს.

A2

## ამბები

### გერმანიის ექსკანცლერი "გაზპრომში" იმუშავებს

გერმანიის ექსკანცლერი გერჰარდ შრიოდერი "გაზპრომში" იმუშავებს. იგი ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის ოპერატორი კომიტეტის აქციონერთა კომიტეტს უხელმძღვანელებს.

A2

## სამართალი

### "წრიპას" ბიძას და გამცილებლებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტარიელ ქურასბედიანს, ბადრაგის წევრებს, რომლებმაც მსჯავრდებული ქურასბედიანი გოგირდის აბანოში გააცილეს, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლე ნანა მაისურაძემ არ გაითვალისწინა ბრალდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატების შუამდგომლობა და დაკავებულებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 12/12 | 13/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 11 |
| ტყიბული | 11 | 16 |
| სოხუმი | 11 | 15 |
| დმანისი | 2 | 7 |
| გორი | 7 | 11 |
| ონი | 3 | 9 |
| ზუგდიდი | 12 | 16 |
| ახმეტა | 11 | 11 |
| გაგრა | 10 | 12 |
| სამტრედია | 12 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7850 |
| ევრო | 2.1029 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.1198 |
| რუბლი | 0.0617 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პრესომბუდსმენი | A 5 |
| რეკლამა | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# უკომენტაროდ დარჩენილი უპრეცედენტო ფაქტი

ეკა კვესიტაძე

გზა "ვირის აბანოდან" გოგირდის აბანომდე რომ შეიძლება ძალიან მოკლე და იოლად გასავლელი აღმოჩნდეს, ამას რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტიც ადასტურებს. არავინ იცის, აბანოში მერამდენე "ბაირამობაზე" აიყვანეს კანონიერი ქურდი, მეტსახელად "წრიპა", მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს ციხის ადმინისტრაციის ერთადერთი საჩუქარი არ უნდა ყოფილიყო ქურდული სამყაროს "ავტორიტეტისთვის".

ეს ტრაგიკომიკული ფაქტი, რომლის მსგავსი შევარდნაძის დროსაც კი არ მომხდარა (ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ არ გახმაურებულა), ნათლად მეტყველებს პენიტენციალურ სისტემაში იმ "მართულ" სიტუაციაზე, რომლის გამოც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა კოპაძემ თანამდებობა შეინარჩუნა, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ატეხილი სკანდალისა.

გაზაფხულზე იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ირონიულ კომენტარებს აკეთებდა "მონიტორინგის საბჭოს" წევრების განცხადებებზე, რომლებიც ციხეში არსებული სიტუაციის გამო კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მკაცრად ითხოვდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იუსტიციის მინისტრისგან გონივრულ ნაბიჯებს ელიან

*საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გუშინ ოფიციალურად არ გამოცხადებულა. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს წევრები და თვით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ ისე საუბრობდნენ, როგორც უკვე მომხდარ ფაქტზე და სამომავლო რეკომენდაციებსაც იძლეოდნენ.*



*დაპატიმრება აბანოში, რომელმაც საზოგადოება ააღელვა, ხელისუფლება კი - არა.*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე შოთა კოპაძის შეუფერებლობის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს სახალხო დამცველი დიდი ხანია საუბრობენ, თუმცა მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმის პერსპექტივა რეალურად მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გოგირდის აბანოში ბადრაგის თანხლებით დააკავეს კრიმინალური ავტორიტეტი, შვიდწლიანი პატიმრობამისჯილი ალექსანდრე ქურასბედიანი. სხვათა შორის, ამ დაკავების გამო, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს წევრმა თეა თუთბერიძემ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს მადლობა გადაუხადა.

თუთბერიძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილი და მისი უწყება რომ არა, ვერ მოხდებოდა იმ უკანონობის გამოვლინება და კანონიერი ქურდის "უკანონო გასეირნების" ფაქტის დაფიქსირება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# აფეთქება ლონდონის მახლობლად

### ტერაქტის ვერსია ოფიციალურად გამორიცხულია

ხათუნა გაბიევი

ჰერტფორდშირის საგრაფოში, ადგილობრივი დროით დილის 06:03 საათზე, მცირე ინტერვალებით სამი ძლიერი აფეთების ხმა გაისმა. აფეთქების შედეგად გაჩენილი ხანძრის სიმაღლე რამდენიმე ათეულ მეტრს აღემატებოდა. აფეთქების ხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, იგი ჰოლანდიაშიც გაიგეს. ლონდონის მახლობლად მდებარე ნავთობტერმინალში აფეთქებებს რამდენიმე ათეული საცხოვრებელი სახლის ნგრევა და დაახლოებით 10 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, დაშავებულია 36 ადამიანი, რომელთა შორის ორი მძიმედაა დაჭრილი.

ბრიტანელი სამართალდამცველები არ ადასტურებენ ნავთობტერმინალზე თვითმფრინავის შეჯახების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასაც.

გაგრძელება A3 გვერდზე




# არც საბინაო ფონდი და აღარც პროგრამა

### მიწისძვრით დაზიანებული სახლების აღსადგენი თანხები სხვადასხვა ღონისძიებებში დაიხარჯა

*თბილისის მთავრობამ გასული წლის დეკემბერში მიწისძვრით დაზარალებულთა სარეაბილიტაციო პროგრამა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, სამ წელიწადში თბილისში ავარიული სახლების რაოდენობა საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დიდი როლი მუნიციპალურ ფონდს უნდა შეეტანა. ფონდის განვითარებისთვის კი 2005 წლის ბიუჯეტში 6 მილიონ 300 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული...*

ნათია მსხილაძე

მიწისძვრის შედეგად, თბილისში დაახლოებით 22 ათასი სახლია დაზიანებული. 22 ათასიდან განსაკუთრებით ავარიული 4 ათასი მაინც იქნება. აღრიცხულია 758 ნაგებობა, რომელსაც ისტორიული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. მათგან 90 პროცენტი საცხოვრებელი სახლია და უმრავლესობა - ავარიული. ზოგიერთი მათგანის აღდგენა უკვე შეუძლებელიც კია. როგორც კომპეტენტური ადამიანები აცხადებენ, არსებულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი ადგილობრივი საბინაო ფონდის შექმნაა.

მუნიციპალური ფონდის შესაქმნელად, თანხის ნაწილს სახელმწიფო დებს და ნაწილს - ინვესტორი. 2004 წელს შექმნილი, მიწისძვრით დაზარალებულთა პროგრამის მიხედვით, ქალაქის მთავრობა 2005 წლისთვის ამ გზით 600 ოჯახის დაბინავებას გეგმავდა.

ინვესტორების მოძებნამდე მთავრობას ჯერ აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფორმა უნდა დაედგინა, განსაკუთრებით - ქალაქის ისტორიულ ნაწილში, სადაც მრავალსართულიანი სახლების აშენება იკრძალება და ინვესტორის დაინტერესება ძნელია. ეს ყველაფერი კი სპეციალური პროგრამით უნდა განსაზღვრულიყო. პროგრამა, როგორც პრემიერი აცხადებდა, ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურს უნდა შეემუშავებინა. თუმცა, დღეს არც ასეთი პროგრამა არსებობს, შესაბამისად, არც ადგილობრივი საბინაო ფონდი და არც 2005 წლის ბიუჯეტში ამ ფონდის შესაქმნელად გათვალისწინებული თანხები.

თბილისის მთავრობა ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტში, თავიდან, ადგილობრივი საბინაო ფონდის შესაქმნელად 10 მილიონი ლარის ჩადებას აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება ორ დღეში შეცვალა და ახლად დამტკიცებულ ბიუჯეტში ფონდის განვითარებისთვის 6 მილიონ 300 ათასი ლარი გამოყო. თუმცა, დღეს დაზუსტებულ ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ ზის. როგორც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლია გუგუშვილმა განგვიცხადა, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ფონდისთვის განკუთვნილი თანხა სხვადასხვა ღონისძიებებზე დაიხარჯა. ეს სხვადასხვა ღონისძიებები რას ნიშნავს, ვერავინ აკონკრეტებს.

# შესაძლოა, გორი სამხედრო ქალაქი გახდეს

*შეიძლება, გორის რაიონული საავადმყოფო სამხედრო ჰოსპიტალად გადაკეთდეს. ამის შესახებ საავადმყოფოს ექიმებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა პირადად აცნობა. გავრცელებული ცნობით, ირაკლი ოქრუაშვილმა ექიმებს განცხადებების დაწერა სთხოვა.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გორის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე ნუგზარ ქარელი ადასტურებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ნამდვილად იმყოფებოდა საავადმყოფოში და მედპერსონალსაც შხვდა.

**"არ ვიცი, ოქრუაშვილი მათ რაზე ესაუბრა, მე ოპერაციაზე ვიყავი და პირადად არ მინახავს,"** - ამბობს ნუგზარ ქარელი.

ძნელი სათქმელია, რატომ გადაწყვიტა თავდაცვის მინისტრმა გორში სამხედრო ჰოსპიტალის გახსნა, მაშინ, როცა ამჟამინდელი ჰოსპიტალის ფართობი სამჯერ აღემატება გორის რაიონული საავადმყოფოს ფართს, მაგრამ ცხადია - თუ ქვეყნის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ამ იდეას წინ ვერავინ აღუდგება.

**"ირაკლი ოქრუაშვილს შევხვდით და გვითხრა, რომ ფიქრობს გორის რაიონულ საავადმყოფოში სამხედრო ჰოსპიტალის გადმოტანაზე.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# უნივერსიტეტი - ცვლილებების პირველი შედეგები

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა კონკურსი ორ - იურიდიულსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, დანარჩენ ოთხ ფაკულტეტზე კი ( სამედიცინო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა) კონკურსი უკვე გამოცხადდა. საპროგრამო ნაშრომების წარდგენის ვადა 30 დეკემბერს იწურება, შედეგები 20 იანვარს გახდება ცნობილი. ასე რომ, ახალი აკადემიური კადრებით დაკომპლექტების პროცესი სასწავლო წლის მეორე ნახევრისათვის უკვე დასრულდება.*
*ცნობილია, რომ უნივერსიტეტში მოღვაწე აკადემიკოსებს კონკურსი არ შეეხებათ.*

ქეთი ბერძენიშვილი

კონკურსების მთავარი მიზანი უნივერსიტეტის პედაგოგიური შემადგენლობის გაახალგაზრდავებაც არის. საკონკურსო პირობებში მოცემულია ის კრიტერიუმები, რომლებიც ამ საკითხს დაარეგულირებს. რეფორმის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა კადრი და ახალი სისხლი საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვე დონეზე ლექციის წაკითხვა, განსაკუთრებით, დიდი აუდიტორიის წინაშე, საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, ამას ინტელექტუალურის გარდა, ფიზიკური ენერგიაც სჭირდება. " ჩვენ გვინდა, რომ ლექცია კათედრიდან მენტორული ტონით თხრობისაგან განსხვავებული იყოს და წარმოადგენდეს თანასწორუფლებიანი დიალოგის პროცესს, - აცხადებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში. - გვესმის, რომ ზოგჯერ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, მაგრამ ყველაფერი კეთდება არა რაღაც პირადი დაპირისპირების გამო, არამედ უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

გაგრძელება A5 გვერდზე

## დღეს "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჩამოდის

გაზგამანაწილებელი კომპანია "გაზპრომი" ბუნებრივ აირს ყველა მომხმარებელს ევროპულ ფასში მიაწვდის. ამის შესახებ "გაზპრომის" გენერალურმა დირექტორმა ალექსეი მილერმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**"გაზპრომი" ყველა მომხმარებელს ბუნებრივ აირს ევროპულ ფასში მიაწვდის. როდესაც დოტაციაზე საუბრობენ - ეს არის პოლიტიკა, ხოლო როცა საუბარი თანაბარ საბაზრო პირობებს ეხება, ეს საკითხი პოლიტიკიდან შორს არის,"** - განაცხადა მილერმა.

საქართველოსთვის და უკრაინისთვის ბუნებრივი აირის გაძვირების საკითხი "გაზპრომმა" პირველად ორი თვის წინ განიხილა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ სათანადო ხელშეკრულების პროექტი უკვე მოამზადა. ხელშეკრულება, სავარაუდოდ, წლის ბოლოს გაფორმდება.

დღეს თბილისში "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ რიაზანოვი ჩამოდის. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი"-ს განუცხადა, მოლაპარაკებები ათწლიანი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე გაიმართება, რომელზეც მხარეები ბოლო თვეების განმავლობაში მუშაობენ. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ხელშეკრულება რიაზანოვის ვიზიტის ფარგლებში გაფორმდეს.

ნიკა გილაურის განცხადებით, სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ "გაზპრომს" განსახილველად იმ ხელშეკრულებების ვარიანტები გადაუგზავნა, რომელსაც მას ქართული მხარე სთავაზობს. საუბარია ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და "გაზპრომს" შორის და "გაზის საერთაშორისო კორპორაციასა" და "გაზექსპორტს" შორის უნდა გაფორმდეს.

შეგახსენებთ, რომ ახალი წლიდან "გაზპრომი" გაზის მოწოდებას გაზრდილი ტარიფით გეგმავს. ამ ეტაპზე საქართველო 1000 კუბურ მეტრ გაზს 68 დოლარად ყიდულობს, ეს ფასი კი მალე 110 დოლარამდე გაიზრდება.

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის წინ რუსეთსა და უკრაინას შორის რუსული გაზის ტარიფთან დაკავშირებით გამართულ დავაში თავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩაერთო. პუტინის განცხადებით, რუსეთი ვალდებული არ არის, მეზობელ ქვეყნებს სუბსიდირება გაუწიოს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ კიევს შესწევს ძალა, რუსული ბუნებრივი აირი საბაზრო ფასით შეისყიდოს. მით უმეტეს, რომ, მისივე თქმით, უკრაინის ეკონომიკა აღმავლობის გზაზე დგას. ვლადიმირ პუტინის აზრით, უკრაინის გამო რუსეთმა ზარალი არ უნდა ნახოს.

*24 საათი*

## მაგისტრალური გაზსადენის 30-35 პროცენტი გამოსაცვლელია

მაგისტრალური გაზსადენის შესწავლა 2006 წლის გაზაფხულზე დასრულდება. ამის შესახებ გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა დავით ინგოროყვამ განაცხადა.

**"ამ ეტაპზე გაზსადენის ინტენსიური შესწავლა მიმდინარეობს. მის სრულ რეაბილიტაციას "მილენიუმ ჩელენჯის" პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 40 მილიონი დოლარი არ ეყოფა. შესაბამისად, მილის ყველაზე დაზიანებული მონაკვეთები დგინდება, რომლებიც დაუყოვნებლივ შეიცვლება,"** - განაცხადა ინგოროყვამ. მისივე თქმით, სავარაუდოდ, ასეთი მონაკვეთი 125 იყო, მაგრამ მათმა რიცხვმა ამ ეტაპზე 275-ს გადააჭარბა.

**"ეს ის მონაკვეთებია, რომელთა სამომხმარებლო ვადა ამოწურულია. ისინი ექსპლუატაციაში 1970 წელს შევიდა. მათი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. გაზსადენის 30-35 პროცენტი მთლიანად შესაცვლელია,"** - განაცხადა მან. 2006 წლის იანვარში "მილენიუმ ჩელენჯი" საერთაშორისო ტენდერს გამოაცხადებს იმ კომპანიის მოსაზიდად, რომელიც პროექტის განხორციელებას უხელმძღვანელებს. ამისთვის დამატებით 4 მილიონი დოლარია გამოყოფილი.

**"კორპორაცია ამ პროექტში მონაწილეობას არ მიიღებს. ჩვენი ფუნქცია ჩატარებული სამუშაოების შემოწმებითა და ჩაბარებით შემოიფარგლება,"** - განაცხადა ინგოროყვამ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თბილისში გაეროს მდგრადი განვითარების კომისიის ბიუროს სხდომა გაიმართა

გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გამართული შეხვედრა გაეროს მდგრადი განვითარების კომისიის სხდომისთვის საკითხების მომზადებას ითვალისწინებდა. კომისიას, რომელსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ხელმძღვანელობს, მორიგი სხდომა 2006 წლის მაისში ნიუ-იორკში აქვს დაგეგმილი. თუმცა, მანამდე კომისიის ბიუროს სხდომები სხვადასხვა რეგიონებში იმართება.

როგორც ჟურნალისტებს ალექსიშვილმა განუცხადა, გუშინდელი სხდომის მიზანი ნიუ-იორკის შეხვედრისათვის ორგანიზაციული და თემატური საკითხების მომზადება იყო.

**"თემატურ საკითხთა შორის უმთავრესი - ენერგეტიკის დაფინანსების და მრეწველობის პრობლემებია. ამასთან, აღნიშნულ სფეროებში საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხები,"** - განაცხადა ალექსიშვილმა. მისივე თქმით, ერთ-ერთი მთავარი - ენერგეტიკის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხია. კომისია ახალ მიდგომებზე მუშაობს, რათა ენერგორესურსები ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი გახდეს და იმ ქვეყნებმა, რომლებსაც ენერგორესურსები თავად არ გააჩნიათ, საგარეო დარტყმებისგან თავი დაცულად იგრძნონ.

ბიუროს სხდომაში მონაწილეობა ჰოლანდიის, მექსიკის და ეთიოპიის წარმომადგენლებმა მიიღეს.

*ინტერპრესნიუსი*

## ენერგეტიკის საბითუმო ბაზარი დავალიანებას 26 დეკემბრამდე დაფარავს

"საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზარი" (სესბი) შპს "მტკვარი ენერგეტიკის" დავალიანებას მიმდინარე წლის 26 დეკემბრამდე დაფარავს. როგორც სესბ-ში განაცხადეს, ვალი სულ 1 900 000 ლარს შეადგენს.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ოქტომბერში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელსა და "რაოეესის" წარმომადგენელ ანდრეი რაპაპორტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მიიღეს.

კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად, საბითუმო ბაზარმა წლის ბოლომდე სრულად უნდა დაფაროს "მტკვარი ენერგეტიკას" წინაშე არსებული დავალიანება. ამის შემდეგ, "თელასი" "მტკვარი ენერგეტიკისაგან" მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას, პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, სრულად შეისყიდის და, შესაბამისად, მასთან ანგარიშსწორებასაც ის განახორციელებს. "თელასი", ამავე ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულებას იღებს, რომ მე-9-ე ენერგობლოკს წელიწადში 8 თვის განმავლობაში ამუშავებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სისტემაში წარმოშობილ დეფიციტს იმპორტირებული ელექტროენერგიით შეავსებს.

ცნობისათვის, გასულ წელს სესბ-ის დავალიანება შპს "მტკვარი ენერგეტიკის" წინაშე 37 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც აღნიშნულ ობიექტებს შორის ურთიერთჩათვლების საფუძველზე 1 მილიონ 900 ათას ლარამდე შემცირდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# აჭარაში "ქვიშის კარიერის გენერლები" მომრავლდნენ

*ისინი ქუჩებშიც ცხოვრობენ, სადარბაზოებშიც და სარდაფებშიც. ბოლო დროს კი ბათუმის მესამე იზოლატორიც შეავსეს. აღმოჩნდა, რომ მათ პატრონობას ვერც მშობლები და ვერც სახელმწიფო კისრულობს. "ისინი უმართავები და ჯიუტები არიან," - ასე ამბობენ ოფიციალური პირები. მათ ხან "არასრულწლოვანებს" ეძახიან, ხან - კრიმინალებს. მშობლებმა კი დიდი ხანია აქციეს ზურგი.*

*აჭარაში კრიმინოგენული სიტუაცია თითქოს მსუბუქია - ასეთი იმიჯი რეგიონის შსმს-ის წარმომადგენლებმა გადაცემა "პატრულში" კრიმინალური ფაქტების სიმცირით შექმნეს. "ნუთუ ჩვენს რეგიონში კრიმინალი არ არსებობს?" – ამ კითხვაზე პასუხი საზოგადოებას მაშინ აქვს, რომელიმე მათგანს მრიცხველს, ალუმინის ნივთებს ან ძვირფასეულობას რომ მოპარავენ. ტაშტის ქურდი "ავტორიტეტი" რომ არ იქნება, ყველამ კარგად იცის, მაგრამ დაზარალებულთაგან შიშით ვერავინ მიმართავს საპატრულო სამსახურს, რადგან არვინაა დარწმუნებული იმაში, რომ ქურდი მისი შვილი ან შვილის მეგობარი არ იქნება.*

შორენა გოგიჩაიშვილი
*ბათუმიდან*

ბათუმის არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელი სამმართველო, რომელიც 1936 წლიდან არსებობდა - გაუქმებულია. იქ ის მოზარდები ხვდებოდნენ, რომლებსაც ოჯახი არ ჰყავდათ, უპატრონოები იყვნენ და დანაშაულის ჩადენას მიმღებ-გამანაწილებელში ერთთვიან პროფილაქტიკურ-აღმზრდელობით სამუშაოებს არჩევდნენ. იქ ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ გამანაწილებლები მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციაზეც ზრუნავდნენ: ზოგს რაიმეთი ასაქმებდნენ, უმეტესი ოჯახს უბრუნდებოდა, ზოგი კი ისევ ქუჩურ ცხოვრებას, გარყვნილებას და ქურდობას აგრძელებდა, ასე გახდნენ ისინი დღეს უკვე ცნობილი კრიმინალები. აჭარის შსმ სამმართველოში არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილება კი არსებობს, მაგრამ საქმეები - ნაკლებად. აქ აცხადებენ, რომ მდგომარეობა მძიმეა და რომ პოლიცია ზრუნავს არასრულწლოვანების გამოსწორებაზე. შინაგან საქმეთა სამმართველოში არ უარყოფენ 13-14 წლის უპატრონო გოგონების გარყვნილ ცხოვრებას და იმ ფაქტსაც იხსენებენ, სკოლის მოსწავლე წებოს ყნოსვაში გართული რომ დააკავეს, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ ყველანაირად არიდებენ თავს "სამყაროს კანონებისადმი დაუმორჩილებლების" იზოლატორში ჩამწყვდევას და დატუქსულებს ხელწერილით უშვებენ სახლში.

მიმღებ-გამანაწილებელ სამმართველოს ადრე განათლების სამინისტრო კურირებდა, ამჟამად კი აჭარის განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ მოლაპარაკებები აქვთ შს მთავარი სამმართველოს უფროსთან დავით ბედიასთან, რათა ბავშვების გამოსასწორებლად ერთობლივი კომისია შექმნან: **"შსმს-ში ადრე ბავშვთა ოთახი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არის, ამიტომ შეუძლებელია ასეთი ტიპის ბავშვთა აღრიცხვა. არასრულწლოვნები, რომლებსაც დანაშაულთან რაღაც კავშირი აქვთ, გამოძიების ინტერესებში არიან და მათთან შეხვედრა რთულია, მაგრამ როცა შესაბამისი კომისია ჩამოყალიბდება, ჩვენ ამ ბავშვებთან ურთიერთობის უფლება გვექნება. ყოველდღიური სემინარები და ტრენინგები საშუალებას მოგვცემს, რომ ისინი კრიმინალური გარემოსაგან ვიხსნათ. დაგვიანება აღარ შეიძლება. საზოგადოება კარგად ხედავს, რომ ასეთი ბავშვები მომავალში შეიძლება ტოქსიკომანები, ნარკომანები, შავი სამყაროს წარმომადგენლები და პროსტიტუციის მსხვერპლნი გახდნენ. ძალიან ადვილია დანაშაულზე დაჭერა და მისჯა. არასრულწლოვანთა კოლონიაში მოხვედრილ 13-14 წლის ბავშვს ფსიქიკა ერღვევა, ამიტომ არც უნდა ველოდოთ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის ჩამოყალიბებული პიროვნება იქნება, რადგან რეალურად ვერ იქნება სრულფასოვანი მოქალაქე და ეს სტრესი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. ყოველ მათგანს რაღაცის ნიჭი აქვს, რომელსაც რეალიზაცია სჭირდება. საზოგადოებიდან დაწყებული - ოჯახით თუ არასამთავრობოებით დამთავრებული ყველა უნდა ჩაერთოს ამ პრობლემის მოგვარებაში, მაგრამ პრობლემის დანახვა არაფერია, პრობლემის გადაჭრის გზებიც უნდა არსებობდეს,"** – განაცხადა განათლების სამინისტროს სახელმწიფო პოლიტიკის განყოფილების გამგემ **მათე ტაკიძემ.**

პატრულიც, განათლების სამინისტროს წარმომადგენელებიც და არასრულწლოვანებიც დასახმარებლად ბათუმის სათნოების სახლის ხელმძღვანელს, ქალბატონ სვეტლანა კუდბას აკითხავენ. ის ანაწილებს ბავშვებს ოჯახებში, თავშესაფრებში და თვითონაც ყოველთვიურად მასპინძლობს 5-6 არასრულწლოვანს. მან ყველაზე კარგად იცის გზას აცდენილ მოზარდთა პრობლემები: **"მივწერე ვარშალომიძეს, სახალხო დამცველს, ოქრუაშვილს, პაპუაშვილს, ხაბაზს, განათლების მინისტრს, რომ მიმღებ-გამანაწილებელის დახურვა არ შეიძლებოდა. თვითონ ვანო მერაბიშვილმა თქვა, დანაშაული გაიზარდაო და უმრავლესობა არასრულწლოვანებზე მოდისო. ისინი დამნაშავეთა სამყარომ ჩაითრია. ქალაქის მერი ბავშვებს ერთი თვის წინ შეხვდა და მიმღებ-გამანაწილებლის შენობაზე მიუთითა – თქვენიაო, მაგრამ შენობა სასწრაფო დახმარებას გადასცა. ფაქტობრივად, საკუთარი ხელით გადავეცით ბავშვები კრიმინალებს,"** – შემოგვჩივლა სვეტლანა კუდბამ, რომლის სახლის კარი არაერთგზის შეუღიათ არასრულწლოვანებს მშობლიური სითბოს საპოვნელად.

# გერმანიის ექსკანცლერი "გაზპრომში" იმუშავებს

გერმანიის ექსკანცლერი გერჰარდ შრიოდერი "გაზპრომში" იმუშავებს. იგი ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის ოპერატორი კომიტეტის აქციონერთა კომიტეტს უხელმძღვანელებს. ამის შესახებ განცხადება ვოლოგდაში გამართულ პრესკონფერენციაზე "გაზპრომის" მმართველობის თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ვოლოგდის ოლქში ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობა 9 დეკემბერს დაიწყო. აღნიშნული გაზსადენი ბალტიის ზღვრის ფსკერზე გაივლის და რუსულ ბუნებრივ აირს სატრანზიტო ქვეყნების – პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების გვერდის ავლით გერმანიას, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთს მიაწვდის. გეგმის მიხედვით, გაზსადენის ექსპლუატაცია 2010 წლიდან დაიწყება.

ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის შესახებ შეთანხმებას რუსეთის და გერმანიის ლიდერებმა სექტემბერში მოაწერეს ხელი. მშენებლობისათვის ერთობლივი გერმანულ-რუსული კომპანია "North European Gaz Pipeline Company" (NEGPC) შეიქმნა, რომლის დირექტორთა საბჭოს გერმანიის ექსკანცლერი გერჰარდ შრიოდერი ჩაუდგა სათავეში.

NEGPC–ის კაპიტალის 51 პროცენტი "გაზპრომს" ეკუთვნის, კონცერნის გერმანელ პარტნიორებს "BASF"-ს და "E.ON"-ს – შესაბამისად, 24,5-24,5 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის გეგმამ ვარშავაში და კიევში უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ რუსული გაზის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში ამჟამად უკრაინის და პოლონეთის ტერიტორიის გავლით ხორციელდება და, ამის სანაცვლოდ, ეს ორი სახელმწიფო ბუნებრივ აირს საბაზრო ფასზე ბევრად უფრო იაფად იღებს.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობაში რუსეთის და გერმანიის თანამშრომლობა პოლონეთს და ბალტიის ქვეყნებს მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მოსკოვის და ბერლინის ურთიერთობას აგონებს.

ნოემბერში ბალტიის ასამბლეის სხდომაზე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და პოლონეთის კანონმდებლებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც რუსეთისგან და გერმანიისგან, გაზსადენის მშენებლობის პროექტის რეალიზაციის პროცესში, მათი ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების გათვალისწინება მოითხოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს საერთაშორისო ღია ტენდერს 70ვტ. 150ვტ. 250ვტ. 400ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 ლოტად (პოზიციად): I ლოტი: 70ვტ. 5000 ცალი უმაღლესი ხარისხის სანათი. II ლოტი: 150ვტ. 5000 ცალი უმაღლესი ხარისხის სანათი. III ლოტი: 250ვტ. 3000 ცალი უმაღლესი ხარისხის სანათი. IV ლოტი: 400 ვტ. 500 ცალი უმაღლესი ხარისხის სანათი.

**2.** საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, საბოლოო მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2006 წლის 31 აპრილისა.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 27 დეკემბრის 12 საათიდან 28 დეკემბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

***იურიდიული პირისათვის:***

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

***ფიზიკური პირისათვის:***

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

***როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:***

ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

*5*. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

*6*. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

*7.* სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 29 დეკემბრის 12 საათიდან 30 დეკმებრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**8.** პრეტენდენტ(ებ)მა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სანათების ნიმუში.

**9.** ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებულ იქნება პრეფერენციული შეღავათი 15% -ის ფარგლებში.

**10.**ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**11.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია პოზიციების (ლოტები) მიხედვით გამოვლენილ იქნას რამოდენიმე გამარჯვებული, რომელთაც საქონლის მიწოდების განხორციელების უფლება შეიძლება მიენიჭოთ შესყიდვის ობიექტის პოზიციების მიხედვით.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ტარიელ ხიზანეიშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 92-07-80 და ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან და აღნიშნული ცნობები უნდა იყოს ლეგალიზებული (საჭიროების შემთხვევაში) და ნოტარიულად დამოწმებული.

*სატენდერო კომისია*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 13 დეკემბერს თბილისში მოეწყობა მრგვალი მაგიდა, სახელწოდებით "ქართულ-თურქული ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები". მისი ორგანიზატორია რეგიონული უსაფრთხოების სამხრეთკავკასიური ინსტიტუტი. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობას მიიღებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები. შეხვედრის მონაწილეები რეგიონულ პროექტს "აზერბაიჯანი-საქართველო-სომხეთი-თურქეთის" რეალიზაციის პერსპექტივებს განიხილავენ. ამასთან, მოეწყობა 27-30 ნოემბერს ვენაში შექმნილი, კონფლიქტების მოგვარების შავი ზღვის კომისიის პრეზენტაცია. რეგიონული უსაფრთხოების სამხრეთკავკასიური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე რუსეცკი აცხადებს, რომ პროექტი აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის პრესსამსახური თავის შეცდომას აღიარებს. რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, თითქოს, აშშ-ს ელჩმა დე ფაქტო პრემიერთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ საქართველოს შემადგენლობაში შესვლამდე, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. სეპარატისტული მთავრობის საინფორმაციო სამსახურის ცნობით, სოხუმში ყოფნის დროს აშშ-ს ელჩს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. "ეს სამწუხარო შეცდომაა, რადგან შეხვედრის დროს ასეთი განცხადება, ელჩმა კი არა, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა გააკეთა," - ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში. სოხუმის ხელისუფლების მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაცია "მედიანიუსმა" აშშ-ს საელჩოში გადაამოწმა, სადაც განაცხადეს, რომ აშშ-ს ელჩს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. "მეტიც, სოხუმში ვიზიტის დროს ელჩმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ აშშ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას უჭერს მხარს," - განაცხადეს აშშ-ს საელჩოში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ბრიუსელში ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო უწყებების ხელმძღვანელებს შეხვდა. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა არაოფიციალური შეხვედრა გამართა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე მეთიუ ბრაზასთან, სადაც კონდოლიზა რაისთან მოსალოდნელი შეხვედრის დეტალებზე ისაუბრეს. ბელგიის მხარემ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. შეგახსენებთ, რომ ბელგია უახლოეს ხანებში ეუთოს თავმჯდომარე გახდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის, თამუნა თომაშვილის მიერ გენერალური პროკურატურის საქმიანობის შესახებ შედგენილ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გენერალური პროკურატურა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობს, რაც გულისხმობს თანამშრომლობას, რეკომენდაციებზე მუშაობასა და დარღვევებზე რეაგირებას.

ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წელს მკაცრად განისაზღვრა გენერალური პროკურატურის პრიორიტეტები: ბრძოლა წამების, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), რელიგიურ ნიადაგზე პირთა დევნის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების შემუშავება, წინასწარი გამოძიების გამარტივება, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**სენაკი.** სამართალდამცველებმა სენაკში ცოლ-ქმარი თემურ მიქაძე და მირანდა გრიგოლია დააკავეს. მათ ბრალად ედებათ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსისა" და "ჰეროინის" გადატანა, სავარაუდოდ, რეალიზაციის მიზნით.

სამართალდამცველთა განცხადებით, ცოლ-ქმარს, დაახლოებით, 5 გრამი "ჰეროინი" და 100 აბი "სუბოტექსი" რეალიზაციისთვის ცხინვალიდან ფოთის მიმართულებით გადაჰქონდათ. მიქაძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და იგი აცხადებს, რომ ნარკოტიკები მას პირადი მოხმარებისთვის სჭირდებოდა და არა რეალიზაციისთვის.

პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ მიქაძის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა და მისთვის "ნარკოტიკული შიმშილის" მოსახსნელად პოლიციას სასწრაფო დახმარების გამოძახება რამდენჯერმე დასჭირდა.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ცოლ-ქმარს 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# უკომენტაროდ დარჩენილი უპრეცედენტო ფაქტი

პირველი გვერდიდან

საინტერესოა, რომ რადიკალური ცვლილებებისა და განცხადებების მოყვარულმა გიგა ბოკერიამ მაშინ კემულარიასა და კოპაძის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ძალიან ზოგადი შეფასება მისცა - "ჩვენ ვაღიარებთ, რომ ამ სისტემაში პრობლემებია, მაგრამ ვმუშაობთ მისი რეფორმირებისათვის"

რეფორმირება, ოღონდ აზროვნების, ბოკერიას აზრით, უკვე დაიწყო იმ კანონპროექტის შემოტანით, რომლის მიხედვითაც ყველა, ვინც ქურდობას იბრალებს, პასუხისმგებლობაში უნდა იყოს მიცემული, ისევე როგორც მათი ნათესავები. ამ ძალზე საკამათო კანონით, უმრავლესობის მტკიცებით, საზოგადოებაში ქურდული ინსტიტუტის მიმართ შემწყნარებლური და ლოიალური მენტალიტეტის ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს.

მაგრამ, რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტი, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ სახელისუფლებო კამპანიას ფრიად პარადოქსულ იერს სძენს და ალოგიკურს ხდის. მაშინ, როდესაც ხელისუფლების ერთი ნაწილი ან ილუზიას ქმნის, ან, შესაძლოა, სრულიად გულწრფელად ცდილობს ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ გალაშქრებას, ზოგიერთი მაღალჩინოსანი ციხეში მოხვედრილ "ავტორიტეტებს" აბანოში ყოფნის სიამოვნებასაც კი არ აკლებს.

როდესაც შოთა კოპაძე თანამდებობაზე დარჩა, მაშინ ხელისუფლება თავს ერთი "ურყევი" არგუმენტით იმართლებდა - ის ერთადერთი იყო, ვისაც სიტუაციის მართვა შეეძლო ციხეებში. აბანოთუბნის ინციდენტის შემდეგ, სიტუაციის მართვის კოპაძისეული მექანიზმები - "ავტორიტეტებისთვის" საკადრისი პატივის მიგება - უკვე საზოგადოებისთვისაც გახდა ნათელი.

ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი. ე.წ. ავტორიტეტი "კალატოზა" პატიმრობიდან დროზე ადრე სწორედ ციხის ადმინისტრაციის შუამდგომლობით გათავისუფლდა - თურმე, სანიმუშო ქცევისთვის. ეს ის "კალატოზაა", რომლის სახელსაც ხშირად ახსენებდა ბოკერია და მისი გუნდი რუსთაველის გამზირის ცნობილი მოვლენების დროს და ოპოზიციას კრიმინალისა და მისი მეგობრების დაცვაში სდებდა ბრალს. მაგრამ იგივე ბოკერიას კომენტარი არ გაუკეთებია "კალატოზას" დროზე ადრე გათავისუფლების გამო. მისი კომენტარი არც აბანოთუბანში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ მოგვისმენია.

გუშინ უკვე გავრცელდა ინფორმაცია კოპაძის შესაძლო გათავისუფლების შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციას თავად იუსტიციის სამინისტროს მაღალჩინოსანი არ ადასტურებდა. როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვერაფერ საგანგაშოს ვერ ხედავს მომხდარ ფაქტში. ასე რომ, საკუთარი ინიციატივით თანამდებობიდან გადადგომა აზრადაც არ მოსვლია და იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებას ელოდება, თუმცა, ამ ინციდენტის შემდეგ, კემულარია თავადაა მოსახსნელი.

პრეზიდენტი კი დუმს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, კომენტარების გაკეთების მოყვარულ სააკაშვილს არ შეუფასებია აბანოში პატიმრის აყვანის ფაქტი, რომელიც თავისი ცინიზმით ყველა ზღვარს სცდება და ბუნებაში არ არსებობს არგუმენტი, რომლითაც მისი გამართლება შეიძლება.

მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ პრეზიდენტი ვერ შეელევა სახელისუფლებო კარუსელში არაერთგზის მოყოლილ კემულარიას. მართალია, წვრილფეხა ჩინოვნიკები ხშირად ხდებიან დათა ახალაიას "ფარული კამერის" მსხვერპლნი, მაგრამ ამ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, შევარდნაძის პერიოდის მანკიერი პრაქტიკის მსგავსად, როგორც წესი, მხოლოდ ერთი თბილი ადგილის მეორე თბილი ადგილით შეცვლა უწევთ ხოლმე. ხოლო თუ ისე მოხდა, რომ ვინმეს თანამდებობის დატოვება მოუხდა, მას პრეზიდენტი აუცილებლად დაახასიათებს, როგორც ძალზე ღირსეულ პიროვნებას და პარტიული მოღვაწეობისკენ გზას დაულოცავს.

# შესაძლოა, გორი სამხედრო ქალაქი გახდეს

პირველი გვერდიდან

**თუმცა ოქრუაშვილი დაგვპირდა, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ კადრს დაასაქმებს. ოქრუაშვილმა ეს ყველაფერი სიტყვიერად მოგვახსენა, რაიმე დოკუმენტი ან ბრძანება ჩვენ დღემდე არ მიგვიღია. ჩვენ რომც არ გვინდოდეს საავადმყოფოს ადგილზე სამხედრო ჰოსპიტლის გადმოტანა, თუკი ეს სახელმწიფოს ინტერესებში შედის, წინ ვერ აღვუდგებით,"** - ამბობს რაიონის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი თემურ მძინარიშვილი.

მინისტრის ვიზიტმა მედპერსონალი, ცოტა არ იყოს, დააბნია და დაუმორჩილებლობის კომიტეტიც შექმნეს, მაგრამ იმის გამო, რომ რაიონის საავადმყოფოს გაუქმებისა და მის ადგილზე სამხედრო ჰოსპიტლის გახსნის შესახებ ჯერ არავითარი ბრძანება არ მიუღიათ, უმოქმედოდ არიან.

**"ვის არ დავემორჩილოთ, ავადმყოფებს? ჯერ არავითარი ბრძანება ჩვენი გაუქმების შესახებ არ მიგვიღია,"** - დასძენს მძინარიშვილი.

ჯანდაცვის რეგიონული სამმართველოს უფროსი ვასილ ბეთლემიძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ საავადმყოფოს გაუქმებასთან დაკავშირებით ჯერ არავითარი ბრძანებულება არ მიუღიათ.

რაიონული საავადმყოფოს დახურვის შესახებ საუბარი რამდენიმე წლის წინაც იყო. მაშინ მედპერსონალს დიდი ბრძოლა დასჭირდა საავადმყოფოს შესანარჩუნებლად. უამრავი წერილი და ხელმოწერა შეაგროვეს, რომ მაშინდელი ხელისუფლება საავადმყოფოს არსებობის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.

ჰოსპიტლის გორში გადმოტანას ამჟამად მოსახლეობაც შიშით უყურებს.

**"გორში ჰოსპიტლის გადმოტანა დიდ ეჭვს იწვევს, რომ გორს მართლა ემუქრება სამხედრო ქალაქად გადაკეთება,"** - ამბობს გორის მცხოვრები დალი აბულაძე.

საუბრია იმაზეც, რომ შესაძლოა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამხედრო სასწავლებლად გადაკეთდეს. დიდი ეჭვი არსებობს, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკრედიტაციას სწორედ ამის გამო ვერ გადის. რამდენიმე დღის წინ კი სტუდენტებს გამოუცხადეს, რომ უნივერსიტეტის მესამე კორპუსი უნდა დატოვონ. ამ ყველაფრის მიუხედავად, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი კლარა ელჩიბეგაშვილი მოუთმენლად ელოდება კომისიის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მიანიჭებენ თუ არა სახელმწიფო უნივერსიტეტს აკრედიტაციის მაძიებლის სტატუსს.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის რაიონული საავადმყოფო ერთ ქუჩაზე მდებარეობს და მათი შენობები ერთმანეთს უყურებს.

# ომბუდსმენის აპარატის მონაცემები პოლიციის მონაცემებისგან განსხვავდება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარმოადგინა.

11 თვის განმავლობაში თბილისის მასშტაბით სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა პოლიციის განყოფილებებსა და ქალაქის სამმართველოში მონიტორინგის 1685 ვიზიტი განახორციელა, დააფიქსირა 1823 დარღვევა და დაკითხა 585 დაკავებული (დაკავებულთა საერთო რაოდენობის 48 პროცენტი).

ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შედეგების თანახმად, პოლიციის განყოფილებებსა და ქალაქის სამმართველოში მონიტორინგის განხორციელებისას დააფიქსირა, რომ 286 ადამიანს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანებები, თუმცა ფიზიკური ზეწოლის ფაქტზე მხოლოდ 55-მა მიუთითა (დაზიანებების მქონე დაკავებულთა 22 პროცენტი).

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს საქართველოში გატარდა მთელი რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ცვლილებები; მოხდა წამების, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ გაერო-ს კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება (OPCAT); ასევე, დაიწყო ადამიანის უფლებების ეროვნული გეგმის შემუშავება, გაფორმდა მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომლის საფუძველზეც, სახალხო დამცველის აპარატი, უკვე ერთი წელია, აქტიურად ახორციელებს პოლიციისა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მონიტორინგს.

სახალხო დამცველის აპარატის მონაცემებისგან განსხვავდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი სტატისტიკა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსის, შოთა ხიზანიშვილის თქმით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიმდინარე 11 თვის განმავლობაში დაკავებული იყო 7731 ადამიანი, მათგან ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა 1380-ს (18 პროცენტი), ხოლო საჩივრით მხოლოდ 80-მა მიმართა (1 პროცენტი).

ამ 11 თვის მანძილზე სამინისტრომ, ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, დააკავა პოლიციის 4 თანამშრომელი, 113 თანამშრომელზე საქმე გადაგზავნილია პროკურატურაში, სამსახურიდან დაითხოვეს 13 თანამშრომელი, ხოლო 1 ჩამოაქვეითეს.

აღსანიშნავია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორები გამოეყო რეგიონულ პოლიციას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მოკლედ

### დეპოზიტების დაზღვევის კანონპროექტი

მთავრობის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონპროექტის ინიცირებას აპირებს.

**"კარგი იქნებოდა, მთავრობას გადაწყვეტილება თავად მიეღო, რაც დაზღვევის სისტემის შემოღების პროცესს გააიოლებდა. დეპოზიტების დაზღვევის მიმართ აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულების მიუხედავად, საფინანსო კომიტეტი და ეროვნული ბანკი კანონპროექტის ინიცირებას მაინც მოახდენენ,"** – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ. მისი თქმით, პროექტის საკუთარი ვარიანტი კომიტეტს უკვე მზად აქვს. ეროვნული ბანკი კი მუშაობას მალე დაასრულებს.

**"ეროვნული ბანკიდან კანონპროექტის პარლამენტში შემოტანას დეკემბერში ველოდებით. ამის შემდეგ ერთ-ერთი პროექტი საკანონმდებლო ინიციატივად გაფორმდება. თუმცა, წელს ეს, ალბათ, აღარ მოესწრება. საკითხი საგაზაფხულო სესიისთვის გადაიწევს,"** – განაცხადა კოვზანაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობამ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსურ დახმარებაზე უარი თქვა. ბანკს დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ჩამოყალიბებისათვის 3,5 მილიონი ევროს კრედიტი უნდა გამოეყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის წარმომადგენლის განცხადებამ გააკვირვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს გაკვირვებას რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის კამინინის განცხადებასთან დაკავშირებით.

კამინინმა ლუბლიანაში ეუთოს მინისტერიალის სხდომაზე მიღებული განცხადება გააკრიტიკა. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეუთო მიესალმება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაეროს 59-ე სესიაზე წარდგენილ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც საფუძვლად დაედება ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ლუბლიანაში დამტკიცებულ ტექსტს რუსეთმაც მხარი დაუჭირა და, აქედან გამომდინარე, კამინინის განცხადება გაოცებას იწვევს. საქართველოს საგარეო უწყების პოზიციით, ან რუსეთის დელეგაცია ლუბლიანაში არ იყო გულწრფელი, ან კამინინი არ არის ინფორმირებული ეუთოს სხდომაზე შემდგარი მოლაპარაკებების დეტალებზე. **მედიანიუსი**

### დსთ-დან საქართველოს გასვლის კამპანია ამერიკელებს ბრალდება

"ამერიკელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ საქართველო დსთ-ს შემადგენლობას მოწყვიტონ," - აცხადებს რუსეთის ფედერაციის საბჭოს დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვადიმ გუსტოვი.

მისი თქმით, ამერიკელებს დსთ-დან საქართველოს გამოყვანა იმიტომ ეჩქარებათ, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობსადენი და გაზსადენი გადის. "განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზერბაიჯანსაც, რომელსაც ანგარიშს მისი კასპიური ნავთობმარაგის გამო უწევენ. სწორედ ნავთობმარაგია ის მიზეზი, რის გამოც აზერბაიჯანი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში არ მონაწილეობს," - აცხადებს გუსტოვი.

რუსი ჩინოვნიკის თქმით, ამერიკელები რუსეთის ირგვლივ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მძლავრი ბლოკის შექმნას ცდილობენ. "მაგრამ შეუძლებელია, რუსეთს ვინმემ რამე უკარნახოს და ამასთან შეგუება ყველას მოუწევს. ეს კარგად ესმის სომხეთს, რომელთანაც კონსტრუქციული თანამშრომლობა გვაკავშირებს," - აცხადებს გუსტოვი და დასძენს, რომ სატრანზიტო სისტემაში სომხეთსა და საქართველოს რუსეთის ინტერესებისთვის სტრატეგიული ადგილი უკავია.

დსთ-დან საქართველოს გასვლის შემთხვევაში ვადიმ გუსტოვი ჯაჭვური რეაქციის გაჩენას და თანამეგობრობის დაშლას გამორიცხავს. **მედიანიუსი**

### ნატო საქართველოს პოზიციას იწონებს

„ჩვენ მოვუწოდებთ იმ პარტნიორ სახელმწიფოებს, ვინც გამოხატა ალიანსში გაწევრიანების სწრაფვა, რომ სრულად გამოიყენონ პარტნიორობის ფორმატში არსებული საშუალებები," - ნათქვამია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს განცხადებაში.

ნატო-ს ხელმძღვანელობა მიესალმება რუსეთის, უკრაინისა და „ხმელთაშუა ზღვის დიალოგის" მონაწილე პარტნიორების მხრიდან დახმარებას, რაც ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე საზღვაო ოპერაცია „Active Endeavour"-ის მხარდაჭერაში გამოიხატება.

ამ მხრივ ნატო-ს საბჭო საქართველოს მიერ გამოვლენილ ინტერესსაც იწონებს. 29 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ წერილით მიმართა ნატო-ს გენერალურ მდივანს და მზადყოფნა გამოთქვა, მხარდაჭერა აღმოუჩინოს ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე საზღვაო ოპერაციას.

საზღვაო ოპერაცია „Active Endeavour" 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაიწყო და ხმელთაშუა ზღვის აუზში კოლექტიური თავდაცვის მექანიზმის შემუშავებას ითვალისწინებს. ოპერაცია ანტიტერორისტულ ხასიათს ატარებს: მიმდინარეობს გემების შემოწმება, დაკავება და მათი გაცილება სახიფათო ზონებში.

ამ ოპერაციაში, ნატო-ს წევრი სახელმწიფოების გარდა, რუსეთი და უკრაინაც მონაწილეობს. მათთან ერთად, ოპერაციის მხარდაჭერის სურვილი საქართველომაც გამოთქვა.

ამასთან, ნატო-ს საბჭო მიესალმება რუსეთ-საქართველოს 30 მაისის შეთანხმებას, რომელიც საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას შეეხება.

„მოუთმენლად ველით დარჩენილი მოუგვარებელი საკითხების გადაწყვეტას," - ნათქვამია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს განცხადებაში. **მედიანიუსი**

## უცხოეთი

# აფეთქება ლონდონის მახლობლად

პირველი გვერდიდან

**"ყველა მაჩვენებელი მიუთითებს უბედურ შემთხვევაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ვეცდებით, გამოძიებისას ყველა დეტალი გავითვალისწინოთ, ვიდრე დადასტურებულ დასკვნამდე არ მივალთ,"** - თქვა ჰერტფორდშირის პოლიციის ხელმძღვანელმა ფრენკ ვაითლიმ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც სააგენტო "როიტერი" პოლიციის წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყება, ძირითად ვერსიად უბედური შემთხვევა რჩება. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, აფეთქების მიზეზი ტექნიკური გაუმართაობის შედეგად გაჩენილი ხანძარი გახდა. ხანძრის ჩაქრობა დღემდე ვერ ხერხდება. რაც შეეხება უსაფრთხოების ზომებს, არც ამის გარანტია არსებობს, რადგან მეხანძრეები ხანძრის სრულ ლიკვიდაციამდე განმეორებით აფეთქებებსაც არ გამორიცხავენ. სწორედ ამიტომ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიწყო მიმდებარე რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაცია. სამართალდამცველები ოფიციალურ პირთა მსგავსად აცხადებენ, რომ ტერაქტზე საუბრისთვის საფუძველი არ არსებობს.

ხანძრის არეალი 20 ცისტერნას მოიცავს, თითოეულ მათგანში კი 3 მილიონი ბარელი ნავთობი ინახება.

ნავთობტერმინალი "ბანსფილდი", რომელსაც ნავთობკომპანიები "ტოტალი" და "ტოქსაკო" განკარგავენ, ჰემელ-ჰემპსტედში მდებარეობს და იქ ლუტონისა და ჰითროუს აეროპორტის თვითმფრინავებისათვის საწვავი ინახება. გარდა ამისა, ნათვობტერმინალს კომპანიები "BP", "Shell" და "British Pipeline"-იც იყენებენ.

სამართალდამცველთა თქმით, კვამლი ქალაქ სენტ-ოლბანსისკენ მიემართება, მაგრამ ტოქსიკური არ არის. თუმცა, ამის მიუხედავად, ახლოს მდებარე ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას მაინც ურჩევენ ფანჯრების საგულდაგულოდ დაგმანვას.

როგორც ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოები აცხადებენ, ლუტონისა და ჰითროუს აეროპორტები ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას, აფეთქებებისა და კვამლის გამო არც ერთი რეისი არ შეფერხებულა და მით უმეტეს, არ გადადებულა. სამართალდამცველთა თქმით კი, აფეთქებები ნავთობტერმინალზე არავითარ გავლენას არ მოახდენს საწვავის მიწოდებაზე, ამიტომ მოსახლეობა არ უნდა ჩავარდეს პანიკაში.

**"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ საგანგებო ვითარებათა სამსახურებს და მდგომარეობა კონტროლს დაექვემდებაროს,"** - განაცხადეს კომპანია "ტოტალ"-ის წარმომადგენლებმა.

# სისხლიანი ინციდენტი ჩინეთში

ნანა ნასყიდაშვილი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პროვინცია გუანგდონგში, სოფელ დუნჩჟოუში, გასულ სამშაბათს გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ ცეცხლის გახსნის შედეგად სამი დემონსტრანტის მკვლელობის ფაქტი ქვეყნის ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა. საგულისხმოა, რომ კორუფციის, გარემოს დაბინძურებისა და მიწების ჩამორთმევის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე დაღუპულ ადამიანთა ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. თვითმხილველთა თქმით, სოფელ დუნჩჟოუში გამართულ დემონსტრაციაზე სამართალდამცავთა მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად, 20-მდე ადამიანი დაიღუპა. გამოძიების მხრიდან აღნიშნულ მონაცემთა დადასტურების შემთხვევაში, სამშაბათს მომხდარი დაპირისპირება, შესაძლოა, 1989 წელს მოედან ტიანამნმენზე მომხდარ ინციდენტზე გაცილებით სისხლიანი აღმოჩნდეს. პროვინცია გუანგდონგში ვითარება დღესაც დაძაბულია, თუმცა ახალ ინციდენტთა თავიდან აცილების მიზნით დუნჩჟოუში პოლიციაა მობილიზებული.

ნიშანდობლივია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიწების ჩამორთმევის, კორუფციისა და გარემოს დაბინძურების გახშირებულ შემთხვევათა გამო, ქვეყნის მოსახლეობა საპროტესტო აქციებს ბოლო პერიოდში ინტენსიურად მართავს. ჩინურ საინფორმაციო სააგენტოს "სინჰუას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გასულ სამშაბათს გამართულ დემონსტრაციაში 300-მდე ადამიანი მონაწილეობდა. **"დემონსტრაციის მონაწილეებმა სამართალდამცავთა მიმართულებით სხვადასხვა ასაფეთქებელ მოწყობილობათა სროლა შებინდების შემდეგ დაიწყეს. აღნიშნულ ქმედებათა საპასუხოდ პოლიციამ რამდენჯერმე ჰაერში გაისროლა,"** – იუწყება ჩინური საინფორმაციო სააგენტო. თვითმხილველთა თქმით, საპროტესტო აქციის მონაწილეეებს ასაფეთქებელი მოწყობილობა არ გამოუყენებიათ და სამართალდამცველთა წინააღმდეგ მხოლოდ ფეიერვერკი იყო ნასროლი.

# „სანდი თაიმსი": ისრაელი ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას გეგმავს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ბრძანება გასცა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს 2006 წლის მარტისთვის ირანის ატომური ობიექტების დაბომბვა დაავალა, – წერდა გუშინ ბრიტანული "სანდი თაიმსი".

ბრიტანული გამოცემა ირწმუნება, რომ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად უკვე მზად არიან სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები და ავიაცია, რომელმაც ირანის ბირთვულ ობიექტებზე სარაკეტო დარტყმა უნდა მიიტანოს.

გაზეთის ცნობით, ისრაელმა ჩრდილოეთ ერაყში ბაზა შექმნა, რომლის მთავარი დანიშნულებაც ირანის შესახებ სადაზვერვო მონაცემების შეგროვება იყო. სწორედ ამ ბაზიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად, ისრაელის დაზვერვისათვის ცნობილი გახდა, რომ ირანს საიდუმლო ბირთვული ობიექტები გააჩნია, სადაც ურანის გამდიდრების სამუშაოებს აწარმოებენ, მაშინ, როცა "მაგატე"-ს ინსპექტორებმა ამის შესახებ არაფერი იციან.

ისრაელში მიიჩნევენ, რომ მარტის შემდეგ ირანს ურანის გასამდიდრებლად ტექნიკური პოტენციალი იმ რაოდენობით გაუჩნდება, რომ სამი-ოთხი წლის შემდეგ ატომური ბომბის შექმნის შესაძლებლობა ექნება.

გარდა ამისა, თელ-ავივში ითვალისწინებენ იმ გარემოებასაც, რომ ირანი განუხრელად ზრდის თავის საჰარეო თავდაცვის, ისევე როგორც დაზვერვის შესაძლებლობებს; მაგალითად, ახლახან თეირანმა სერიოზული კონტრაქტი გააფორმა რუსეთთან თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო დანადგარების შესყიდვის შესახებ და, იმავე რუსეთის დახმარებით პირველი ირანული თანამგზავრი გაიყვანა ორბიტაზე.

მარტში დაგეგმილი ოპერაციის სცენარი ჰაერიდან საკვანძო ატომური ობიექტის განადგურებას ითვალისწინებს, რაც თეირანის ატომურ პროექტს რამდენიმე წლით შეაფერხებს.

ოპერაციაში "კომანდოს" საგანგებო დაჯგუფება, ბრიტანული "SAS"-ის ანალოგიური რაზმი 262, და გამანადგურებელთა ესკადრილია E-15 მიიღებს მონაწილეობას.

ბრიტანული გაზეთის მიერ მოყვანილი ფაქტების მიუხედავად, ოფიციალური ისრაელი მარტისათვის დაგეგმილ ოპერაციას უარყოფს. ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ამოს გილადი ყველაფერს მოგონილს უწოდებს. მისი თქმით, "დღეისთვის, ამ ეტაპზე ისრაელი ირანის საკითხის გადაჭრაში უპირატესობას დიპლომატიურ მეთოდებს ანიჭებს"(გაზეთი "ჰაარეცი").

თუმცა, იმავე გილადის განცხადებით, "არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს მომავალში".

*24 საათი*

# იუსტიციის მინისტრისგან გონივრულ ნაბიჯებს ელიან

პირველი გვერდიდან

**"მერაბიშვილის უწყებას შეეძლო, აღნიშნული სპეცოპერაცია ფარულად ჩაეტარებინა, თუმცა სპეცოპერაციის საჯაროობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ იუსტიციის სამინისტროში რეფორმებია გასატარებელი"**, - აღნიშნა თუთბერიძემ. ამ რეფორმების გასატარებლად კი, თუთბერიძის აზრით, საკმარისი არ არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც, მისივე ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილი აქვს იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიას.

**"ჩვენი ინფორმაციით, კემულარიამ მიიღო გადაწყვეტილება სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მაგრამ მხოლოდ ეს გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში შექმნილ მდგომარეობას ვერ განმუხტავს. ამიტომ, მოვუწოდებთ მინისტრს, მიიღოს კიდევ უფრო გონივრული გადაწყვეტილება და თავადაც გადადგეს. იუსტიციის სამინისტროში შექმნილი ვითარების განმუხტვა მხოლოდ მინისტრ კემულარიას გადადგომითაა შესაძლებელი"**, - აღნიშნა გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე თეა თუთბერიძემ, რომელიც მინისტრის გადადგომის აუცილებლობას შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებს:



*პრესკონფერენცია თავისუფლების ინსტიტუტში.*

**"მინისტრი ვერ აკონტროლებს იუსტიციის სამინისტროსა და, უშუალოდ, სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილ სიტუაციას. ამიტომ, კოპაძის გადაყენება იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილ ვითარებას ვერ გამოასწორებს. არ შეიძლება, კანონიერი ქურდები აბანოებსა და რესტორნებში დასეირნობდნენ. არადა, ასეთი შემთხვევები ხშირია. ცხადია, სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილ მდგომარეობას მხოლოდ ბადრაგის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და კოპაძის გათავისუფლება ვერ შეცვლის. ამისათვის საჭიროა ისეთი იუსტიციის მინისტრის მოსვლა, რომელიც სისტემაში რეფორმის გატარებაზე იქნება ორიენტირებული და არა კანონიერი ქურდების კეთილგანწყობის შენარჩუნებაზე"**, - ამბობს თუთბერიძე.

სხვათა შორის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან შოთა კოპაძის მოსალოდნელ გათავისუფლებას მიესალმება პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც. თუმცა, ის სამომავლო პერსპექტივაზეც საუბრობს:

**"კოპაძე აქამდე უნდა გადაეყენებინათ, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში მინისტრის თავშეკავებას სისტემაში არსებული რეალობით ვხსნი; კერძოდ იმით, რომ მას ქურდულ სამყაროსთან საერთო ენის პოვნა შეეძლო,** – აცხადებს ელენე თევდორაძე და დასძენს, - **ეს, რა თქმა უნდა, ცუდი ფაქტია, მაგრამ ამით სისტემაში ვითარება შევინარჩუნეთ. კოპაძის დროს ციხეებში ბუნტი და გაქცევები არ ყოფილა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კარგი მდგომარეობა იყო"**.

ელენე თევდორაძე ამბობს, რომ იუსტიციის მინისტრს სასჯელაღსრულების დეპარეტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან კოპაძის გათავისუფლება აქამდეც ჰქონდა გადაწყვეტილი; მეტიც, მას უკვე კოპაძის შემცვლელიც შერჩეული ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის თავმჯდომარემ არ იცის კოპაძის სავარაუდო შემცვლელის ვინაობა, ინფორმაცია აქვს, რომ კემულარიას რჩეულ ახალგაზრდას ქუთაისში ევროკავშირის ექსპერტების კურსები აქვს გავლილი.

**"სამწუხაროდ, პენიტენციურ სისტემაში ისეთი მდგომარეობაა, რომ მისი ახალი ხელმძღვანელი მეცოდება კიდეც. ვითარება თუ არ შეიცვალა, ამ ადგილზე მისული ნებისმიერი პიროვნება ან კოპაძედ იქცევა ან პოსტს დაკარგავს"**, – განაცხადა თევდორაძემ.

რაც შეეხება იუსტიციის მინისტრს, მას გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სათავეებში საკადრო წმენდის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. თუმცა, მისმა მოადგილემ გივი მიქანაძემ საზოგადოებას ამცნო, რომ გოგირდის აბანოში დაკავებული პატიმრის ალექსანდრე ქურასბედიანისა და მის იზოლირებაზე პასუხისმგებელი ბადრაგის წევრების ბრალეულობის საკითხის დასადგენად წარმოებული გამოძიების პარალელურად, იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სამსახურებრივი შემოწმება მიმდინარეობს. მისივე თქმით, სამინისტროში დამნაშავეს ხელს არავინ დააფარებს, თუმცა მანამადე სპეციალურმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ პასუხისმგებელ პირთა წრე და ამ მონაცემების საფუძველზე უნდა იქნას მიღებული უმკაცრესი გადაწყვეტილება.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, დამნაშავე თანამშრომლები უმკაცრესად იქნებიან დასჯილნი, თუმცა ვითარების გამოსასწორებლად სისტემაში კომპლექსური ღონისძიებებიც იქნება გატარებული.

**"ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა სასჯელაღსრულების სისტემაში სერიოზული საკადრო პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე. ეს პროცესი დაწყებულია: შევქმენით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა სასწავლო ცენტრი, სადაც პერსონალი სერიოზულ გადამზადებას გაივლის"**, - განაცხადა გივი მიქანაძემ, რომელსაც ახალი კადრების მომზადების შესახებ საუბრისას არ უთქვამს, თუ რა ბედი ელით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მომუშავე "ძველ" თანამშრომლებსა და "მოძველებულ" ხელმძღვანელობას.

*24 საათი*



Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.

## "წრიპას" ბიძას და გამცილებლებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

*თბილისის საქალაქო სასამართლომ ტარიელ ქურასბედიანს, ბადრაგის წევრებს, რომლებმაც მსჯავრდებული ქურასბედიანი გოგირდის აბანოში გააცილეს, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლე ნანა მაისურაძემ არ გაითვალისწინა ბრალდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატების შუამდგომლობა და დაკავებულებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გუშინვე ბრალდებულები თბილისის N5 საპყრობილეში გადაიყვანეს.*

თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. კანონიერი ქურდის, მსჯავრდებულ ალექსანდრე ქურასბედიანის ბიძის, ტარიელ ქურასბედიანის, ბადრაგის წევრების – ჭანკოტაძის, გოგებაშვილის და ცქიტიშვილის სასამართლო პროცესი რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

პოლიციის მიერ დაკავებულმა ბადრაგმა სასამართლო პროცესზე ჩადენილი დანაშაული აღიარა. რაც შეეხება ტარიელ ქურასბედიანს, მისი ადვოკატი ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის ბრალდების გაუქმებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, ტარიელ ქურასბედიანი 8 დეკემბერს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ე.წ. ჭრელ აბანოში დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, იგი მის ნათესავთან, ე.წ. "კანონიერ ქურდთან" , ალექსანდრე ქურასბედიანთან, მეტსახელად "წრიპასთან" ერთად იმყოფებოდა. "წრიპას", სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნარკოტიკების რეალიზაციის გამო, მისჯილი ჰქონდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და, ამ გადაწყვეტილების თანახმად, "ჭრელ აბანოში" კი არა, ციხეში უნდა ყოფილიყო.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, ალექსანდრე ქურასბედიანი დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა იუსტიციის სამინისტროს საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებთან, რომლებმაც, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, იგი გამოიყვანეს ციხიდან გოგირდის აბანოში, სადაც აღნიშნულ პიროვნებას ჰქონდა შეხვედრა კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტთან ტარიელ ქურასბედიანთან.

დაკავებისას, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებმა და კრიმინალურმა ავტორიტეტებმა სამართალდამცავებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

ამოღებულია მაკაროვის სისტემის 2 პისტოლეტი და 1 ცალი ავტომატური იარაღის მაყუჩი.

***ინტერპრესნიუსი***

### მოკლედ

## პროკურატურამ უკანონო პატიმარი გაათავისუფლა

გუშინ გენერალურმა პროკურატურამ უკანონო პატიმარი გაათავისუფლა.

პროკურატურის ადამიანის უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსის თამარ თომაშვილის განცხადებით, პროკურატურამ მე-5 საპყრობილეში მიაკვლია პატიმარს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მთელი წლის მანძილზე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. პატიმარი თამაზ ბლუაშვილი გაათავისუფლეს.

თომაშვილის განმარტებით, ბალუაშვილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე 2003 წლის 22 აპრილს დააკავეს და სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ბრალდებული ფსიქიკურად დაავადებული იყო, რის გამოც, ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. 2004 წლის 20 ნოემბერს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმის დასკვნით, ბალუაშვილი სრულიად ჯანმრთელად ცნეს, რის გამოც, იგი მე-5 საპყრობილეში დააბრუნეს.

**"2004 წლის 20 ნოემბრიდან დღემდე მამუკა ბალუაშვილი, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების გარეშე, ე.ი. უკანონოდ, ციხის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებოდა"**, - განაცხადა პროკურატურის სამმართველოს უფროსმა.

მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

**"ყველა ის პირი, ვინც პასუხისმგებელია ბალუაშვილის უკანონო პატიმრობაზე, პასუხს აგებს"**, - განაცხადა თამარ თომაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## საპყრობილის თანამშრომელი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის დააკავეს

იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების შედეგად დაკავებულია N1 საპყრობილის კორპუსის უფროსი დავით ს.

იგი ეჭვმიტანილია თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში. როგორც ირკვევა, დავით ს-ს "თბილუნივერსალბანკის" ცენტრალური ფილიალიდან გამოჰქონდა თანხა და ფული პატიმართან ციხეში შეჰქონდა.

გამოძიების მსვლელობისას პატიმართან სულ 1500 დოლარის შეტანის რამდენიმე ფაქტია გამოვლენილი.

საგამოძიებო დეპარტამენტში დანაშაულებრივ კვალს პატიმარ გრიგოლ კაპანაძის საქმის ძიებისას მიაგნეს. მსჯავრდებული გრიგოლ კაპანაძე პასუხისგებაში რამდენიმე თვის წინათ მისცეს. იგი მოქალაქეებს წინასწარ შემუშავებული გეგმით სძალავდა თანხებს და ფულს "თბილუნივერსალბანკში" გახსნილ ანგარიშზე არიცხინებდა.

ეჭვმიტანილი დავით ს-ი წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. საქმეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **მედიანიუსი**

## ოტობაიაში თავდასხმის შედეგად აფხაზი მილიციელები დაიჭრნენ

გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში გუშინწინ, გვიან ღამით აფხაზური ადმინისტრაციის მიერ დანიშნული გამგებლის დალი ხალვაშის საცხოვრებელ სახლზე თავდასხმა მოხდა. თავდასხმის შედეგად არიან დაჭრილები.

ოტობაიაში დალი ხალვაშის სახლში, სადაც აფხაზური შტაბია განთავსებული, გუშინწინ საღამოს 50-კაციანი ჯგუფი დაბინავდა. დაახლოებით, ღამის 3.00 საათზე კი ჯერჯერობით დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ხალვაშის სახლს და იქ მყოფთ ცეცხლი ავტომატებიდან, ყუმბარტმყორცნიდან, ე.წ. "მუხებიდან" და ხელის ტყვიამფრქვევიდან გაუხსნეს.

თავდასხმის შედეგად დაჭრილნი არიან აფხაზური მილიციის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები - გურამ ყანჯიოღლი, ბორის პანმაროვი და ერთი კაზაკი ეროვნების ბოევიკი, რომლებიც სასწრაფოდ სოხუმში გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ მილიციის სპეცდანიშნულების რაზმი დაკომპლექტებულია კაზაკი, ჩეჩენი, სომეხი და აფხაზი ეროვნების მილიციელებით.

მოსახლეობის განცხადებით, ორმხრივი სროლა, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ აფხაზური მილიციის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ოტობაიაში შევიდნენ რუსული პასპორტების დარიგების მიზნით; მათთან ერთად იმყოფებოდნენ აფხაზური საპასპორტო განყოფილების წარმომადგენლებიც და კრასნოდარის გუბერნატორის აპარატის თანამშრომლებიც.

შტაბმა უკვე დატოვა სოფელ ოტობაიას ტერიტორია. რაც შეეხება ქართველ მოსახლეობას, ისინი საკუთარ საცხოვრებელ სახლებს ტოვებენ და ზუგდიდის რაიონს აფარებენ თავს.

არ არის გამორიცხული, რომ, მომხდარის გამო, სოფელ ოტობაიაში აფხაზებმა დამატებითი ძალები შეიყვანონ. ასეთ ფაქტს უკვე ჰქონდა ადგილი სოფლებში ოქუმსა და მუხურში, სადაც 50-მდე აფხაზი მილიციელი პასპორტების გაკონტროლების მიზნით შევიდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, მილიციელები განთავსდებიან სოფლის მოსახლეობის სახლებში. მათი ძირითადი ფუნქციაა აფხაზური პასპორტების დარიგება მოსახლეობისთვის და აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების შესახებ აგიტაცია-პროპაგანდა. **ინტერპრესნიუსი**

## შემოვლით გზაზე ავტომანქანის აფეთქებას ოსური მხარე ქართველებს აბრალებს

სეპარატისტული ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ზარის შემოვლით გზაზე ნაღმზე აფეთქდა ავტომანქანა, რომლითაც ოსი ეროვნების პირები მგზავრობდნენ.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველთა განცხადებით, აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე კი დაიჭრა. ოსური მხარე გზის დანაღმვას ქართულ მხარეს აბრალებს. მათივე თქმით, ზარის გზის დანაღმვა ქართველი სამართალდამცველების მიერ ტრანსკავკასიური საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვის პარალელურად მოხდა.

**"ზარის შემოვლითი გზა ერთადერთ სატრანსპორტო არტერიად რჩება, რომლითაც რუსეთი სამხრეთ ოსეთს უკავშირდება. ავტომანქანის აფეთქების ინციდენტამდე ქართველი სამართალდამცველები ზარის გზაზე ოსურ საგუშაგოს მისი დაკავების მიზნით თავს დაესხნენ"**, - ნათქვამია სეპარატისტების მილიციის ცნობაში.

შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდლის პაატა ბედიანაშვილის თქმით, გამორიცხულია ზარის შემოვლითი გზა ქართულ მხარეს დაენაღმა, რადგან ამ გზას მთლიანად ოსური მხარე აკონტროლებს.

რაც შეეხება ავტომანქანის აფეთქების შესახებ ინფორმაციას, როგორც პაატა ბედიანაშვილი აცხადებს, შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ხელმძღვანელობისთვის ამ ინციდენტის შესახებ ოფიციალურად არავის უცნობებია. **მედიანიუსი**

## მოთხოვნა წინადადების წარდგენაზე

### საქართველოს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენების (SCP) ექსპლოატაციის ფაზისათვის (სიპ-ის მეორე ფაზა)

BP Exploration (Caspian Sea) Ltd. ,romelic მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის კომპანიის (BTC Co.) და შპს სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP Co. Ltd) სახელით, მიიღებს სატენდერო **წინადადებებს** შესაბამისი კვალიფიკაციის ორგანიზაციებისაგან, (იხ. ქვემოთ) საქართველოში "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის" (**სიპ**) განსახორციელებლად მილსადენების ექსპლოატაციის ფაზაში,

**სიპ**-ს საქართველოში 2003 წლის დასაწყიში ჩაეყარა საფუძველი და BTC და SCP მილსადენიების გასწვრივ 77 თემში განხორციელდა. მშნებლობის ფაზაში **სიპ-**ის მიზანი იყო მილსადენის გასწვრივ არსებული თემების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში **სიპ-ის** მეორე ფაზის ძირითადი მიზანია BP-სა და BTC/SCP მილსადენების გასწვრივ არსებულ თემებს შორის დადებითი ურთიერთობების გაძლიერება იმ თემებში ინვესტირების გზით, რომლთა მისწრაფებაა გახდნენ თემის მდგრადი განვითარების მოდელი. **სიპ-**ის მიზანია თემების მხარდაჭერა, რათა მათ მინიმალური გარეშე დახმარებით უკეთ შეძლონ პროექტების განხორციელება და უზრუნველყონ მათი მდგრადობა. BP-სთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შესრულებული ეს პროექტები ხელს შეუწყობენ მილსადენების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ვინაიდან, სიპ-ის მეორე ფაზის სამუშაოთა მოცულობა დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორც მშნებლობის ფაზაში იყო (დაახლოებით 3 წელი, 5 მილიონი აშშ დოლარი და 77თემი), BP მოითხოვს, რომ წინადადების წარმომდგენ ნებისმიერ ინდივიდუალურ ორგანიზაციას, ან წამყვან ორგანიზაციას, რომელიც წინდადებას ორგანიზაციათა კონსორციუმის სახელით წარადგენს, ჰქონდეს:

- დასაბუთებული გამოცდილება თემის განვითარების პროექტების, ან ექვივალენტური ინიციატივების მართვასა და/ან განხორციელებაში, რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 1 მილიონ აშშ დოლარზე, არა უმეტეს სამწლიანი პროექტის შესრულებისათვის.
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სათემო ორგანიზაციებთან (CBO) და ადგილობრივ მთავრობებთან ერთად პროექტების განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება,.
- წინადადების მთელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. ნებისმიერი სახის მიმოწერა უნდა ხორციელდებოდეს ინგლისურად

აღნიშნული წინადადების მოთხოვნის შესახებ დეტალური ინფორმაციის პაკეტი ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე BP-ის ოფისშ, მისამართზე:

თბილისი საბურთალოს ქ.N38.

წინადადების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდზე: www.caspiandevelopmentandexport.com.

ორგანიზაციებს აღნიშნული ინფორმაციის პაკეტის ასლი შეუძლიათ მიიღონ არაუგვიანეს 2005 წლის 23 დეკემბრისა 16:00 სთ-მდე ადგილობრივი დროით

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ქვითარი განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ღრმაღელე);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II". (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "[illegible] I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ნოდარ ლადარია

ერთი ვრცელი ციტატით მინდა დავიწყო.

9 დეკემბერს გამოქვეყნდა **სოფიკო ჩხაიძის** მასალა "No comment", სადაც ვკითხულობთ: **"არსებობს მოვლენები, ფაქტები, რომელთა არსში გასარკვევად საჭირო არ არის არც დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, არც ექსპერტთა შეფასებები და არც არავითარი ანალიზი ან კომენტარი. ამგვარი მოვლენების თუ ფაქტების მიმართ დამოკიდებულების გამოსაცნობად არც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა საჭირო, არც საქმეში ჩახედულთა აზრის მოსმენა და, წარმოიდგინეთ, არც სხვადასხვა პოზიციაზე მყოფ ადამიანთა დებატები — იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ შემთხვევებში განსხვავებული პოზიციების არსებობა თითქმის წარმოუდგენელია."** მართალია, ამ სიტყვების [illegible] ... თუმცა ამ შემთხვევაში შორიდან დაწყება ჯობია...

6 და 8 დეკემბერს [illegible] თავისუფალ ჟურნალისტთა სახლმა და კონრად ადენაუერის ფონდის ქართულმა წარმომადგენლობამ ჩაატარეს ჟურნალისტური კონფერენცია "საუბარი ქართულ მედიაზე". ამის შესახებ ინფორმაცია "24 საათმა" 8 დეკემბერს გამოქვეყნებულ ქართველ ჟურნალისტთა მიმართვას წაუმძღვარა. მიმართვის თემასაც შევეხებით ქვემოთ, მაგრამ ჯერ სულ სხვა რამ უნდა მოვახსენოთ.

6 დეკემბრის ხსენებულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა **ბადრი კოპლატაძე**, საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი (დაზუსტებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და, იმედია, მკითხველი მალე დამეთანხმება ამაში). მოხსენების მსვლელობისას წამოიჭრა შეკითხვა: რატომ გაათავისუფლეს საზოგადოებრივი რადიოს სამსახურიდან ჟურნალისტი **სოფო კილასონია** თბილისის თავისუფლების მოედანზე დასადგმელი წმინდა გიორგის ქანდაკების შესახებ გადაცემული კრიტიკული სიუჟეტის გამო? კონფერენციამ [illegible] პასუხი მოისმინა: სიუჟეტში არ ყოფილა წარმოდგენილი "მეორე მხარე". როგორც ტყუილა, [illegible] ... "ნორმალის" [illegible] ... ან ვინ მოიგონა,

რომ აზრები მხოლოდ მრავალფეროვნებით ფასდება და არა, მაგალითად, კვალიფიკაციით? ხოლო [illegible]: ჟურნალისტს, მით უმეტეს, გადაცემის ავტორს არასდროს არ უნდა აეინტერესებოდეს, რომ ჟურნალისტის გარდა ის, მაგალითად, ეკონომისტია; ხოლო ზურაბ წერეთლის შემოქმედების ავ-კარგზე კრიტიკოსის თვალსაზრისი ნამდვილად არაა ტოლფასი შემთხვევითი გამვლელის მიერ გამოთქმული აზრისა.

საზოგადოებრივი ტელევიზიის გარშემო დასმულ სხვა შეკითხვებზე ბ-ნმა კოპლატაძემ ერთადერთი, შეიძლება ითქვას, სტანდარტული პასუხი აღმოაჩინა: **ამის გასარკვევად საჭიროა კვლევა**. თურმე საგანგებო კვლევა ყოფილა საჭირო იმის გასაგებად, რატომ [illegible] საინფორმაციო პროგრამა "მთავარი" [illegible] ... ღირსებას იცავდა.

[illegible] ... ტელევიზია: **ტელევიზიაში მომუშავე ძველი კადრების ცნობიერება იმდენად დამძიმებულია ძველი რეჟიმის მემკვიდრეობით, რომ საჩამ ეს ფსიქოლოგია არ შეიცვლება, რამე რადიკალურ გარდაქმნებზე ლაპარაკი ზედმეტია.** [illegible] ...

თუმცა [illegible] ... მაინც კოპლატაძეს [illegible] ... **"ამ შემთხვევაში განსხვავებული პოზიციების არსებობა თითქმის წარმოუდგენელია"**. როგორი ... ცხადია, ამ სიტყვების ავტორი საქა-



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

რთველოში ცხოვრობს, ანუ იქ, სადაც მართლაც ყველაფერია შესაძლებელი. მაგრამ ვისთვისაა დაწერილი ეს პათოსით აღსავსე ტირადა?

მასალა "No comment" ეძღვნება ციხის ბადრაგის მიერ გოგირდის აბანოში მიყვანილ პატიმარს. მართლაც, ამ ფაქტის შეფასებას დიდი შრომა არ სჭირდება. მაშ რატომ ირჯება ავტორი? — იცის, ვისთან გვაქვს საქმე ამ ქვეყნის მოქალაქეებს და იმიტომაც ირჯება. მაინცდამაინც ხიროსიმასავით თვალსაჩინო რამ უნდა მოხდეს, საქართველოში კანონის არსებობა რომ გაიხსენონ. და განა მარტო ვინმე **კოპაძის** სიხარბე ან ბადრაგის დაბალი ანაზღაურებაა მთავარი მიზეზი? — სულაც არა: მთავარი მიზეზი ისაა, რომ *ტრენინგებითა* და *გაიდლაინებით* ნასწავლი დემოკრატია და კანონის უზენაესობა არასოდეს იქნება სრულყოფილი. ამგვარი დემოკრატები ყოველთვის ვინმეს კერძო ინტერესებზე იქნებიან მიბმულნი — სულ ერთია, საკუთარზე თუ სხვისაზე — და, საბოლოოდ, კოპაძესა და კოპლატაძეს შორის განსხვავება მართლაც რომ ერთი "ლატ"-ის, ანუ, ლატვიის სახლმწიფო ბანკს თუ დავუჯერებთ, სულ რაღაც სამოცი ცენტის ტოლი იქნება...

დიახ, ბატონებო, სიხარბე და, როგორც თეოლოგები იტყვიან, ვერცხლისმოყვარეობა მხოლოდ კერძო გამოვლინებაა. მთავარი საფუძველი ჩვენში გამეფებული საყოველთაო პრიმიტივიზმია, რომელიც ერთნაირად ვლინდება ყველა შესაძლებელ დონეზე: თუ, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში ჰგონიათ, რომ ყოველდღიური სწორხაზოვანი და ერთმნიშვნელოვანი პროპაგანდით საზოგადოების მომადლიერება შესაძლებელია, თუ საზოგადოებრივი ტელევიზიის ხე-

მყოფ პირებს ჰგონიათ, რომ პატიმრის ჭრელ აბანოში გასეირნება ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული ოჯახის ღირსებას იცავდა.

ხომ გახსოვთ, როგორ გამოგვიცხადა **ნინო ბურჯანაძემ** სრულიად საქართველოს, რომ ქუთაისი *სხვანეირი* ქალაქია. იმე, რაფრა ლაპარიკობთ, ქალბატონო ნინო? — არავითარი *სხვანეირი* ქალაქი არაა ქუთაისი, თუ მხედველობაში საქართველოს კანონმდებლობას მივიღებთ. იმას უკვე მივეჩვიეთ, რომ **თეა თუთბერიძეს**, სადაც არ უნდა იყოს, დღემდე "კმარას" დაუსრულებელ აქციაზე ჰგონია თავი, მაგრამ სად ჰგონია თავი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს?

კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ჟურნალისტ **ეკა ჯანაშიას**, რომელიც 8 დეკემბერს რადიო "უცნობის" ეთერში გამოვიდა, მეორე დღეს კი ამ გამოსვლის ანგარიში "24 საათმა" დაბეჭდა. ესეც საკმაოდ ვრცელი ციტატაა, მაგრამ ნამდვილად ღირს მისი მთლიანად მოყვანა, მით უმეტეს, რომ ის რეპორტიორული სიზუსტით ემთხვევა იმ თვითმხილველთა მონათხრობს, რომლებსაც პირადად ვესაუბრე ამ დღეებში: **"გუბერნატორს პირდაპირი ეთერის დებატებში დაუსვეს ირაკლი იმნაიშვილი, რომელიც იმ პერიოდში იმყოფებოდა ქუთაისში. პირველი ფრაზა, რაც ირაკლიმ უთხრა, იყო: პარტიამ დაგრთოთ პირდაპირ ეთერში მოსვლის ნება? ამის მერე დაიწყო გუბერნატორის მხრიდან: შენ ხარ უზრდელი, თავხედი, ტყუილებს იძახი, და ა. შ. პრინციპში, 15 წუთიც არ გრძელდებოდა ეს დიალოგი. ირაკლიმ გუბერნატორს უთხრა, უზრდელობაზე ლაქცები ოჯახს, პარტიასა და კაბინეტს წაუკითხოთ. ამის მერედა აკაკი ბობოხიძემ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ დებატებს აღარ აგრძელებს, სხვანაირად და სხვაგან დალაპარაკება მას და ამ წუთში გარეთ ელოდება. ანუ, ეს იყო ტიპური ქუჩური გარჩევა. გუბერნატორი დახვდა გარეთ და სცემა ჟურნალისტი."**

თვითმხილველებთან საუბრის შემდეგ კი მხოლოდ ერთ რამეს თუ დავუმატებდი: სანტერესოა, ბ-ნი ბობოხიძე თავისი ოჯახის ღირსებას ყოველთვის პირად მძლოლთან ერთად იცავს, თუ ხანდახან მაინც აკეთებს ამას მარტო, როგორც კაცს შეეფერება? ახლა კიდევ ერთხელ დაუბრუნდით ამ სტატიის დასაწყისს და გულდასმით წაიკითხეთ, მიტყუებ ნებს [illegible] ... **"არც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა საჭირო, არც საქმეში ჩახედულთა აზრის მოსმენა და, წარმოიდგინეთ, არც სხვადასხვა პოზიციაზე მყოფ ადამიანთა დებატები"**?

გასაგებია, რა პასუხსაც მომცემთ, მაგრამ ამ გასაგები პასუხის გათვალისწინებით როგორ უნდა შევაფასოთ ქართული სამართალდამცავთა სამშვიდო და დუმილი. ნუთუ ყოველთვის პრეზიდენტის სამშობლოში ჩამოსვლა უნდა ველოდოთ? რა საჭიროა პრეზიდენტი ან კონფერენციაზე შეკრებილი ჟურნალისტების რატომ უნდა იმტკიონ თავი მიმართვის განსაკუთრებულად მნვავე ტექსტის შესადგენად ან საქმეში, სადაც პირველადაც დაკავების აღსასრულებლად რიგითი პატრულიც საკმარისი იქნებოდა? მაგრამ, როგორც ეტყობა, ქუთაისში არც პატრული მოიძებნება და არც პროკურორი — სხვანეირი ქალაქი ქუთაისი, საქართველოს სხვანეირი ქვეყანაა.

თავი დავანებოთ იმასაც, რომ პრეზიდენტის ჩამოსვლას დიდი ბედნიერება არ მოჰყოლია — აკაკი ბობოხიძე "აღმასრულებელ თავმჯდომარეობიდან" "საოლქო კომიტეტის მდივნობაზე" გადაიყვანეს. რატომ გეხამუშებათ ეს შედარება? — 23 ნოემბრის პარლამენტის შენობის წინ გამართულ კონცერტზე ხომ სრულიად უპრობლემოდ უსმენდით ბუტაფორიულ კინოფილმის "რაიკომის მდივანი"? ისევ ეკა ჯანაშია: **"აკაკი ბობოხიძე დაინიშნა ნაციონალური პარტიის კოორდინატორად იმერეთის რეგიონში. მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, უფრო მაღალ თანამდებობაზე, ვიდრე გუბერნატორობა, რადგან ნაციონალურ პარტიაში ყველაფერს პარტია აკონტროლებს."** ამ სიტყვების შემდეგ, ალბათ, არ უნდა ვიჩქაროთ, რომ ბ-ნი ბობოხიძე ერთ დიდ დილას [illegible] ... საქართველოს მოძმე თავისთვის [illegible] ... იხმაურებს...

აი, ასეთი ვითარებაა საქართველოში, მისი საფუძველი კი ბორიტსა ზედა კი არა დგას (ასე ბრძოლა მაინც იქნებოდა შესაძლებელი), არამედ საყოველთაო პრიმიტივიზმისა და ზედაპირულობის ჭაობში, ანუ იქ, სადაც ერთმანეთს ხვდება აბანოში მიმავალი "წრიპა", რომელიც "ენდგოს" ტბისგაყინულ ლიდერ, საკუთარი გავლენისათვის ვარსკვლავებში აფრენილ დეპუტატი, სახელმწიფოებრივ დეპარტამენტის მსუნავი ლეფტენანტის და...

ვინ გააგრძელებს ამ სიას? — ვინ დაითვლის ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავებს? თუმცა, ერთი პუნქტი მაინც უნდა დავუმატო...

ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მნიშვნელობა ჩვენი ერთგულების ინტერესების სფეროში სულ უფრო იზრდება. ეს პუბლიკაციც განაგებია. სწორედ ამ ურთიერთობებს უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად ჩაუდა მიხეილ სააკაშვილი კიევში რამდენიმე დღის წინათ. რა თქმა უნდა, მეტად საშური საქმეა, როცა ქვეყნებს შეგიძლიათ ჰყავდე. თუმცა გაგითამაშებენ მეგობრულ ზრდილობის ოსტატობაში... მაგალითად, **ვიქტორ იუშჩენკოს** სამედიცინო კონსულტანტი რელიგიურ საკითხებში, ალექსანდრე საგანი ამბობს: **"უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხი"**. ამ მხრივ უკვე საგრძნობი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ განაცხადა, რომ არ აღიარებს უკრაინის მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის სამღვდელოების ჯერ კიდევ ხელში არსებულ სტრუქტურებს. ... მაგალითად, კანონიკურ ურთიერთობებს სწორედ მოსკოვის იურისდიქციაში მყოფი და ამ სტრუქტურის რადიკალურ შეცვლას აპრილის პოლიტიკური ხელისუფლების ჩარეულობა რელიგიურ საქმეებში, რასაც უკრაინელები ჩვენზე განსხვავებით მკაცრად იცავენ. ეს კანონიერების, ბ-ნი საგანის თქმით, ღელსაც ისაა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ლეგიტიმაციის ოქროს კანონიერება ხელის წინააღმდეგ მოსკოვის საპატრიარქოს წინასაღმდეგ. ... ერთი დიდი სტრატეგია მართლმადიდებელ ეკლესიას უფრო ვარსკვლავებს, კურძოდ, რუსულ საპატრიარქოს შეზღუდვას მოსკოვის ... სვლად ეს. ერთი სინოდის ნაწილი ესეც ეკლესიური. ამ დროს ჩვენი ერთ-ერთი ნიშანდობლივი საფოსტო რუსული ვებ-გვერდი "ვერა ი ორუჟიე": **"რწმენის მხარდაჭერა მიმართულია მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის ეპისკოპოსის აგენტებისა. ქართულ კაპელანების უკრაინულ მღვდელმსახურებს დახმარება ჩვენ ქვეყანაში არსებულ სამხედრო კონფლიქტების დასვრაცხა ... მოსკოვის იურისდიქციის უკრაინულ სამხედრო სინოდალურ განყოფილებასთან თანამშრომლობის წვალობით გამოვიტანთ დასკვნა, რომ ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საეკლესიო სტრუქტურაა, რომელიც არმიასა და ფლოტთან ურთიერთობებს აყენებს პასუხს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ უკრაინელი კაპელანებისაგან"**.

ფდესაცა სტალინის უკითხავს, რომის პაპს რამდენი დივიზია ემორჩილებაო — არ უნდა გავეკვირდეს რუსულ სემინარიის გამოცდილება. ჩვენი სამღვდელოება იგივე ტერმინებში მსჯელობს ეკლესიაზე, თითქოს რომელიმე ჯარის ბრძოლისუნარიანობას განიხილავენ. ნეტა რა უნდა ისწავლონ იმათგან, ვინც საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას ასეთ პრობლემებს უქმნის: **"ჩვენ უნდა ვეცადოთ და ლაგამი ამოვდოთ მათ, რადგან ველოდებით ეკონომიკური პრობლემების ინსპირირებას,"** — ამბობს ალექსანდრე საგანი.

როგორც ვხედავთ, ქართველი იერარქია უკრაინების მხოლოდ იმას იღებს, რაც ჩვენს სახელმწიფოებრივ განვითარებას დააბრკოლებს. მაგრამ სანაცვლოდ რას აძლევს ჩვენს უკრაინელ მეგობრებს? აი, როგორ აფასებს უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის, განსაკუთრებით კი მისი ხელმძღვანელის, მიტროპოლიტ **ვლადიმერ სობოდანის** ლავრის სრულად სახელდებულ კათოლიკოს პატრიარქი **ილია II**: **"ეს მძიმე, მაგრამ მადლიანი ჯვარია"**. უწმინდესისა და უნეტარესის თქმით **"მთელი მართლმადიდებელი სამყარო აღნიშნავს მიტროპოლიტ ვლადიმირის დაბადების სამოცდამეათე წლისთავს და მისდამი გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს"**. თუმცა, როგორც ვიცით, მართლმადიდებელი სამყაროს ტრადიციული ცენტრი სულ სხვა აზრისაა ამ საკითხზე. ეს წერილი სახელში შეკრებაზე **ნეტარისის და პირველი მიტროპოლიტა სერგიმ** წაიკითხა, რის შემდეგაც რუსეთის ეგზარქოს უკრაინაში, **ვიქტორ ჩერნომირდინმა** მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინულ მხედრიონთან უზრუნველყოფიდან **ვლადიმერ პუტინის** განკარგულებით გადასცა რუსეთის ფედერაციის ორდენი ... ეჭვმი აღნიშნა, რომ **"იუბილარს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უკრაინისა და რუსეთის ხალხთა სულიერების აღდგენაში, რმ მოძმე ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში"**.

რა ნაცნობი სიტყვებია! — რატომ უნდა მონაწილეობდეს საქართველოს სამართლიანობის წარმომადგენლობით დელეგაცია იმ ცირკში, სადაც უფრო ბუნებრივი სანახავი **პანტელეიმონ გიორგაძე** იქნებოდა? — რა თქმა უნდა, იგივე პრომიტივიზმის გამო, რომელიც ჩვენში სასტიკად განმსჭვალა ყველა რიგს და ბურეს.

ეს ყველაფერი მით უფრო საშიშია, რომ ეროვნული უთხრის ძირს ჩვენს საუკეთესო იმედებს როგორც შინ, ასევე გარეთ.

# უნივერსიტეტი - ცვლილებების პირველი შედეგები

პირველი გვერდიდან

**სიახლე სასწავლო პროცესში**

სასწავლო წლის დასაწყისში გარკვეული სირთულეები შეიქმნა ე.წ. სწავლების საკრედიტო და შეფასების 100- ბალიან სისტემაზე გადასვლის გამო, აგრეთვე, სასწავლო პროგრამების მოცულობის ახალი ათვლის სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით. თუმცა სტუდენტებმა სიახლეს მალე აუღეს ალღო. ახალი სისტემა მოქნილია. სტუდენტებს განსაკუთრებულ მოწონთ ის , რომ აღარ სწავლობენ უსარგებლო და უინტერესო საგნებს. სავალდებულო დისციპლინებთან ერთად, რაც მკაცრად განსაზღვრულია, მათ შეუძლიათ თვითონ აირჩიონ დამატებით ანტიკურ ლიტერატურას შეისწავლიან თუ, მაგალითად, - ასტრონომიას.

ძალიან მნიშვნელოვანი პირობაა ის, რომ ახალი სასწავლო პროგრამები, უმეტესწილად, ჰარმონიზებულია დასავლეთის საუნივერსიტეტო პროგრამებთან, აქედან გამომდინარე, ე. წ. უნაშთო სწავლების საფუძველზე სტუდენტების გაცვლის, გადაადგილების მეტი შესაძლებლობა არსებობს.

**ხარისხის მართვის სამსახური**

ამჟამად უნივერსიტეტში უკვე ამუშავდა ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც ამოწმებს როგორც პედაგოგთა განათლებას და მათ პედაგოგიურ ნიჭსა და უნარს, ასევე, სტუდენტების მიერ შეძენილ ცოდნას. ეს იქნება როგორც პედაგოგების, ასევე სტუდენტების ერთდროული შუალედური ატესტაციები - გათვალისწინებული იქნება სტუდენტების ობიექტური (და არა - მიკერძოებული) აზრიც ამა თუ იმ პედაგოგის შესახებ.

როდესაც არის ინფორმაცია ზოგიერთი ლექციის მოძველებულობის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში ხარისხის მართვის სამსახური იღებს შესაბამის ზომებს - ლაპარაკი არ არის ვინმეს ბრალეულობის დამტკიცებაზე, დასჯაზე და ა.შ. ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი, რომლის მიზანია სტუდენტისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიწოდება ახლებური მეთოდებით.

**სიახლე ადმინისტრაციაში**

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მიმდინარე კონკურსის პარალელურად, უკვე გამოცხადდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ატესტაცია. სავარაუდოდ, ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა 35-40%-ით შემცირდება, შესაბამისად, შემცირდება სამსახურების რაოდენობა ანუ მოხდება გაერთიანება. რეფორმის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ შედეგად, პერსონიფიცირებული იქნება პასუხისმგებლობა ადმინისტრაციის ამა თუ იმ ქმედების გამო, განსაკუთრებით, პასუხისმგებლობა სამუშაოს დაგეგმვასა და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით.

**მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა უნივერსიტეტის საფინანსო და სამეურნეო სისტემებში და ამ ცვლილებების მიზანი, უპირველეს ყოვლისა, კორუფციის შესაძლებლობების მინიმუმამდე შემცირება გახლდათ.**

**საფინანსო რეფორმა**

უნივერსიტეტში ანგარიშსწორება უკვე საკრედიტო ბარათების საშუალებით ხდება და მაქსიმალურად შემცირდა ნაღდი ფულის ბრუნვა სალაროებში.

უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ შექმნილიყო ერთი საფინანსო სამსახური, რომელიც ყველაფერს მოაქცევდა ერთიან სისტემაში და წარმოადგენდა კონკრეტულ სურათს, როგორ ხდება თანხების ხარჯვა და განაწილება. ეს არის საფინანსო პროცესის გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი პირობა. სამწუხაროდ, წარსულში იყო შემთხვევები, როცა ფინანსები სწორად არ იხარჯებოდა, ფინანსდებოდა გაურკვეველი პროექტები, რომელთა მიზნის და დანიშნულების გარკვევა შეუძლებელი იყო.

**ზურაბ ნონიაშვილი,** კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში: "მიმაჩნია, რომ ფინანსების ხარჯვის ის წესი, რომელიც არსებობდა, იყო ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელი, იმიტომ რომ ფინანსების განკარგვაზე კონტროლი არ იყო ერთ სისტემაში მოქცეული. ეკითხებოდა ადამიანს თუ არ ეკითხებოდა, ხელი მიუწვდებოდა ამ თანხების ხარჯვაზე. მაკონტროლებელი ვერ არკვევდა, ვისთვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა კონკრეტული დარღვევების შემთხვევაში.

ახალი საფინანსო სისტემით, ყველაფერი ძალიან ნათელი და თვალსაჩინოა: განსაზღვრულია საბიუჯეტო ხელფასი, განსაზღვრულია ჩვენი კომერციული საქმიანობა, ე.წ. სპეცსახსრები. ეს ყველაფერი კონტროლდება როგორც განათლების, ასევე, ფინანსთა სამინისტროს მიერ. **საფინანსო მენეჯმენტის გამარტივება გამომდინარეობს ორი მოთხოვნიდან: ერთი, რომ ადვილად თვლადია და შემმოწმებელი ორგანოსათვის ადვილად კონტროლირებადი და მეორე ის, რომ გამჭვირვალეა. არა მარტო მაკონტროლებელმა ორგანომ, არამედ ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იცოდეს ვისთვის და რისთვის იხარჯება უნივერსიტეტში ფული.**



*უნივერსიტეტში მოღვაწე აკადემიკოსებს კონკურსი არ შეეხებათ*

ყველა ამ ცვლილების მიზანია, უნივერსიტეტის მართვა მოხდეს თანამედროვე სტანდარტებით და აღმოიფხვრას კორუფციის შესაძლებლობა, პროცესები წარიმართოს გამჭვირვალედ. კანონდარღვევების პრაქტიკა, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა წინა ხელმძღვანელობის დროს, აღარ უნდა განმეორდეს.

**ახალი სამეურნეო მოწყობა**

ეფექტიანი მართვისა და კონტროლის მიზნით, ცოტა ხნის წინათ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა **სამეურნეო სამსახური**, რომელმაც გააერთიანა ცალკეული განყოფილებები: სამეურნეო, მომარაგების, სამშენებლო-საექსპლოატაციო, ავტოფარეხი, სატელეფონო სადგური და მთავარი ენერგეტიკოსის სამსახური. როგორც ადმინისტრაციაში მიიჩნევენ, ერთიანმა სამეურნეო სისტემამ გაამართლა - მისმა ყველა სეგმენტმა იცის, რა უნდა აკეთოს კონკრეტული მიმართულებით და, ამავე დროს, იცის, რომ მთელი სამეურნეო საქმიანობა არის ერთი სამსახურის კომპეტენცია.

**თემურ გვიმრაძე**, სამეურნეო სამსახურის უფროსი: "ჩვენ უშუალოდ არც ერთ თეთრს არ განვკარგავთ, პირდაპირი შეხება ფინანსებთან არ გვაქვს, ჩვენ ვართ შემსრულებლები. სისტემა ასეთია - როდესაც რაიმე სახის სამუშაოა შესასრულებელი, იქმნება კომისია. მის შემადგენლობაში შედიან ქვეგანყოფილების უფროსები, დგება ოქმი და შემდეგ უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური ამოწმებს, ხომ არ არის გადამეტება. ჩვენი ადგილობრივი განყოფილებები ასრულებენ მხოლოდ მიმდინარე სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოებს. თუ სამუშაოს ღირებულება 10 ათას ლარს აჭარბებს, მაშინ უკვე ცხადდება ტენდერი და სამუშაოს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვაკონტროლებთ ფირმის მუშაობას. ამჟამად ძველი ტენდერებით მიმდინარე სამუშაოები სრულდება, რაც ჩვენი წინამორბედის დროს იყო გამოცხადებული.

ახალ სარემონტო სამუშაოებს ჩვენ განვსაზღვრავთ უკვე მომავალი წლიდან, როდესაც გამოცხადდება ახალი ტენდერი და ახალი ვალდებულებები. ყველა ფაკულტეტს მოვთხოვეთ წარმოედგინათ არა მარტო მათთვის საჭირო ინვენტარის ჩამონათვალი, არამედ შესარემონტებელი თუ ასაშენებელი ფართის რაოდენობა. ამ მონაცემებს ცალკე კომისია განიხილავს, რომელიც გადაწყვეტს, რა [illegible] სამუშაოებისთვის ... არის [illegible] ... ობა, მ[illegible] ... ლი გა[illegible] ... ნეს, ი[illegible] ... თება [illegible] ... რია მ[illegible] ... ვიხდა[illegible] ... ტორი[illegible] ... მუშაო[illegible] ... ამ აუდ[illegible] ... ბა საჭ[illegible] ... ტემით[illegible]

მო[illegible] კანატ[illegible] ... ლოგე[illegible] ... გავხს[illegible] ... რეაბი[illegible] ... ტი (120 კვ. მ.) [illegible] ... შვების[illegible] ... ილეს[illegible] ... და მის[illegible] ... ვერსი[illegible] ... ვლელ[illegible] ... არის. [illegible] ... ნა, ალ[illegible] ... ვენილ[illegible]

არ დახარჯულა. დიდი დახმარება გაგვიწია მხატვართა კავშირის წევრმა ბატონმა **მამია ახობაძემ**, რომელიც თავის მოსწავლეებთან ერთად, ამ ბიუსტების აღდგენის ინიციატორი და შემსრულებელია სრულიად უსასყიდლოდ. ბატონი მამია შეგვპირდა, რომ თაბაშირის ბიუსტებს თანდათანობით ბრინჯაოთი შეგვიცვლის. შევცვლებთ ცენტრალური შემოსასვლელი კარი და მთლიანად მოვაწესრიგეთ ეზოს განათება. მიმდინარეობს გათბობის სისტემის რეაბილიტაცია მესამე კორპუსში, რომელიც სამხედრო კათედრებს ეკავათ. ეს კორპუსი გადაეცა ფსიქოლოგიის მიმართულებას. მოხდა კორპუსის კაპიტალური შეკეთება, აღდგა სველი წერტილები და სხვ.

არა მარტო მესამე კორპუსში, არამედ მთელ უნივერსიტეტში, ფაქტობრივად, ყველაფერი განადგურებულია - ელექტროგაყვანილობა, წყალგაყვანილობა, სატელეფონო ქსელები - დამონტაჟების შემდეგ აღარ ჩატარებულა პროფილაქტიკური სამუშაოები. ახალი წლიდან უკვე შეიძლება ამ სისტემების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფაზე ზრუნვა და ამ საკითხებსაც მოვაწესრიგებთ."

უნივერსიტეტში შეიქმნა, აგრეთვე, ახალი განყოფილება - ქონების მართვისა და კომერციის სამსახური. ეს სამკაციანი განყოფილება წესრიგში მოიყვანს ურთიერთობას სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც თანამშრომლების ტესტირებისა თუ სხვა მიზნით უნივერსიტეტის აუდიტორიებს ქირაობენ, გააფორმებს ხელშეკრულებებს და ა.შ. გაქირავების თანხა პირდაპირ შევა უნივერსიტეტის ანგარიშზე მოწესრიგებული ფორმით.

**უნივერსიტეტი მეცნიერული კვლევის დაფინანსებას იზრუნებს**

უკვე გადაწყდა უნივერსიტეტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი - საბაზო მეცნიერული კვლევების დაფინანსება.

რექტორის რუსუდან ლორთქიფანიძის ინიციატივით, უნივერსიტეტის 2006 წლის ბიუჯეტში ჩაიდო მეცნიერების საბაზო კვლევების დაფინანსების თანხა - მილიონ რვაასი ათას ლარზე მეტი, რაც სრულიად საკმარისი თანხაა ამ სახის კვლევების საწარმოებლად. ცალკეა გათვალისწინებული პროგრამული დაფინანსება ახალი მოწყობილობების, რეაქტივების, სხვადასხვა ინგრედიენტების შესაძენად. რაც შეეხება ე.წ. მიმდინარე სამეცნიერო თემებს, რომლებიც, მოგეხსენებათ, ახლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ფინანსდება, უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს.

რაც შეეხება საბაზო კვლევას: არსებობს სამეცნიერო პრობლემა, რომლის დამუშავების დონიდან დღეს არ შეიძლება განისაზღვროს მისი პრაქტიკული რეზულტატი, ეს არ ჩანს და ვერანაირი ადმინისტრატორი მას ვერ შეაფასებს. ზოგჯერ ისეთ პრობლემის კვლევა ხდება უნივერსიტეტში, რაზეც მთელ მსოფლიოში 10 ან 15, ხანდახან უფრო ნაკლები კაცი მუშაობს. თუმცა ამით მისი პოტენციური ღირებულება არ მცირდება. უნივერსიტეტის ბიოლოგიური სკოლა, მაგალითად, გამოირჩევა იმით, რომ ბევრი ისეთი თემის დამუშავება მიმდინარეობს, რომელიც მსოფლიოში ძალიან აქტუალურია. ამიტომ მიაჩნია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომ ეს თემები აუცილებლად უნდა დაფინანსდეს, ამას მხარდაჭერა სჭირდება. შეიძლება, კვლევის შედეგად უარყოფითი პასუხი იქნას მიღებული, მაგრამ უარყოფითი პასუხიც პასუხია და ეს დაზოგავს სხვა ქართველი თუ უცხოელი სწავლულების შრომას, დროს და ენერგიას, რათა მათ ამ მიმართულებით კვლევა აღარ გააგრძელონ.

უნივერსიტეტში შეიქმნა ცალკე სამსახური, რომელიც პროგრამული სწავლების ფინანსურ უზრუნველყოფას უხელმძღვანელებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა უნივერსიტეტის პედაგოგების სულიერი საზრდოა, ეს არის იმის გარანტი, რომ ის არ დგას ერთ ადგილზე. როცა სტუდენტებიც ჩართული არიან სამეცნიერო მუშაობაში, მათთვის სასწავლო პროცესი უფრო მიმზიდველია. მით უმეტეს რომ, ბოლონიის პროცესის თანახმად, რომელსაც საქართველო წლეულს გაზაფხულზე შეუერთდა, სწავლა და კვლევა განუყოფელია.

**უნივერსიტეტის რეფორმა რთული და მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი პროცესია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სტრუქტურული თუ სხვა სახის ცვლილებების მიზანია, კორუფციისთვის აღარ დარჩეს ბნელი კუნჭულები და ნიშები, სადაც ღირსებისა და პატიოსნების სხივი ვერ შეაღწევს. შედეგი მაღალ მიზანზეა გათვლილი - უნივერსიტეტი გახდეს განათლების კერა, რომელიც ყველა სფეროში საერთაშორისო დონის სპეციალისტებს მოამზადებს.**

**დამტკიცებულია**
**ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ**
**2005 წ. -----------------**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

# წ ე ს დ ე ბ ა

**თბილისი, 2005**

**პრეამბულა**

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვაგრძელებთ რა საქართველოში ადვოკატთა მრავალწლიან ტრადიციებს, ჩვენ, საქართველოს ადვოკატებმა დავაფუძნეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რათა საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის დაცვით, ხელი შევუწყოთ საქართველოში სამართლიანი მართლსაჯულების განხორციელებას, კანონის უზენაესობის დაცვას, ადვოკატის პროფესიის განვითარებას, უზრუნველვყოთ ადვოკატის დამოუკიდებლობა, მისი უფლებების დაცვა და პროფესიული თავისუფლება.

## თავი I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. სახელწოდება**

1.1 ასოციაციის სრული სახელწოდებაა: "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია".

1.2 ასოციაციის შემოკლებული სახელწოდებაა: "სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია".

**მუხლი 2. სამართლებრივი სტატუსი**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (შემდგომში - "ასოციაცია") წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის კორპორაციას და შექმნილია "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" და "ადვოკატთა შესახებ" კანონების საფუძველზე.

**მუხლი 3. ასოციაციის ადგილსამყოფელი**

ასოციაციის ადგილსამყოფელია: თბილისი.

**მუხლი 4. ხანგრძლივობა**

ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

**თავი II. მიზნები, ფუნქციები და საქმიანობა**

**მუხლი 5. ასოციაციის მიზნები და ფუნქციები**

ასოცოაციის მიზნები და ფუნქციებია:

5.1 საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების და კანონის უზენაესობის დაცვის ხელშეწყობა;

5.2 ადვოკატის პროფესიის განვითარება;

5.3 ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვა;

5.4 საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფა;

5.5 იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება;

5.6 სახაზინო ადვოკატის სისტემის ხელშეწყობა;

5.7 საადვოკატო ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;

5.8 ადვოკატების სოციალური დაცვა;

**მუხლი 6. ასოციაციის საქმიანობის საგანი**

6.1 ასოციაცია თავისი მიზნების და ფუნქციების განსახორციელებლად ეწევა შემდეგ საქმიანობას:

6.1.1 ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას;

6.1.2 ქმნის და უძღვება ადვოკატთა სასწავლო ცენტრს;

6.1.3 ატარებს ადვოკატებისათვის სემინარებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს და სხვა;

6.1.4 გამოსცემს ასოციაციის ჟურნალს;

6.1.5 მოიძიებს დაფინანსების დამატებით წყაროებს;

6.1.6 შეიმუშავებს საადვოკატო ეთიკის ნორმებს;

6.1.7 მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში;

6.1.8 ქმნის ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდს;

6.1.9 განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას;

6.1.10 ქმნის ადვოკატთა და საადვოკატო ბიუროების საინფორმაციო ბანკს და უზრუნველყოფს მის მუდმივ განახლებას;

6.1.11 შეიმუშავებს ადვოკატთა წახალისების და დისციპლინური დევნის წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;

6.2 ასოციაცია განახორცილებს ნებისმიერ საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მისი მიზნების და ფუნქციების განხორციელებასთან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ასოციაციის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა უნდა ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს ასოციაციის მიზნებს.

## თავი III. ასოციაციის წევრობა

**მუხლი 7. ასოციაციის წევრები**

7.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ტესტირება კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, გაწევრიანების მოთხოვნით, დადგენილი წესით, მიმართა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და დადო ფიცი.

7.2 ასოციაციის წევრი არ შეიძლება გახდეს პირი, ხოლო მოქმედ წევრი გაირიცხება ასოციაციიდან, თუკი იგი ნასამართლევია განზრახი მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 ასოციაციის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი ან სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

7.4 ასოციაციის არჩევითი ორგანოების წევრებს ეკრძალებათ გამოიყენონ საკუთარი ხელმძღვანელობითი ფუნქციები პოლიტიკური მიზნებისათვის.

**მუხლი 8. ასოციაციის წევრად მიღება**

8.1 ასოციაციის წევრად მიღება განისაზღვრება ადვოკატთა შესახებ საქართველოს 2001 წლის 20 ივნისის კანონით.

8.3 ტესტირების შედეგების მიხედვით, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში, კანონით დადგენილი წესით მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ადვოკატთა ასოციცაციაში გაწევრიანების შესახებ ან გაწევრიანებაზე უარის თქმის თაობაზე. თუკი აღმასრულებელი საბჭო 10 დღის ვადაში არ გამოიტანს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე, პირი ჩაითვლება გაწევრიანებულად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

**მუხლი 9. წევრის უფლებები და მოვალეობები**

9.1 ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

9.1.1 აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის მართვის ორგანოებში;

9.1.2 მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის კრების მუშაობაში;

9.1.3 მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;

9.1.4 გაეცნოს აღმასრულებელი საბჭოს, სარევიზიო და ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

9.1.5 თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.

9.2 ასოციაციის წევრი მოვალეა:

9.2.1 დაიცვას ასოციაციის წესდება;

9.2.2 დაემორჩილოს ასოციაციის მიერ დამტკიცებულ ეთიკის ნორმებს;

9.2.3 ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;

9.2.4 დროულად და დადგენილი წესით გადაიხადოს საწევრო გადასახადი

**მუხლი 10. წევრობის შეჩერება და შეწყვეტა**

ასოციაციის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება კანონით და ასოციაციის მიერ დამტკიცებული დისციპლინური ნორმებით.

## თავი IV ასოციაციის მართვა

**მუხლი 11. ასოციაციის მართვის ორგანოები**

ასოციაციის მართვის ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

**მუხლი 12. ასოციაციის საერთო კრების კომპეტენცია**

12.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება (შემდგომში "საერთო კრება").

12.2 საერთო კრება:

ა) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და მისი სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს, შეაქვს მათში ცვლილებები და დამატებები;

ბ) ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს;

გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების პროგრამას, წესს და საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;

დ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს;

ე) ამტკიცებს დებულებას ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ;

ვ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის დებულებას;

ზ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ბიუჯეტს, გასული საანგარიშო წლის ანგარიშგებას და საქმიანობის ანგარიშს და ადგენს თავმჯდომარის ხელფასის მინიმალურ ზღვარს;

თ) ადგენს დაქირავებულ პირთა ხელფასების, სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების საერთო ოდენობას;

ი) ისმენს ასოციაციის ეთიკისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

კ) აწესებს ფიქსირებულ საწევრო გადასახადს და ადგენს მისი გადახდის ვადას;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

**მუხლი 13. ასოციაციის საერთო კრების მოწვევა**

13.1 საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ.

13.2 ასოციაციის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტი.

13.3 საერთო კრების მოწვევისა და თავმჯდომარეობის უფლებამოსილება გააჩნია ასოციაციის თავმჯდომარეს.

13.4 რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს, სარევიზიო კომისიას, ეთიკის კომისიას ან ასოციაციის არანაკლებ ას წევრს, გარდა 19.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

13.5 ასოციაციის თავმჯდომარე უზრუნველყოფს წესდების 13.4 პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე კრების მოწვევას და შემოთავაზებული საკითხების შეტანას დღის წესრიგში. თუ თავმჯდომარე არ გამოეხმაურა რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნას, მაშინ კრება მოიწვევა ინიციატორის მიერ ამ წესდებით დადგენილი წესით.

13.6 კრების მომწვევი უზრუნველყოფს დღის წესრიგის შემუშავებას და ასოციაციის წევრებისთვის გასაცნობად წარდგენას.

13.7 ასოციაციის საერთო კრება, როგორც წესი, მოიწვევა არასამუშაო დღეს.

13.8 კრება მოიწვევა კრების მოწვევის შესახებ განცხადების და დღის წესრიგის საერთო კრების მიერ განსაზღვრულ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან არაუადრეს 14 და არაუგვიანეს 30 დღისა.

13.9 თუკი საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი კრების მომწვევს იმავე დღის წესრიგით შეუძლია მოიწვიოს საერთო კრება არანაკლებ ხუთი დღის შემდეგ, მომდევნო კვირა დღეს.

13.10 13.4 პუნქტში დასახელებულ პირებს შეუძლიათ ცვლილებები და დამატებები შეიტანონ დღის წესრიგში კრების მოწვევის შესახებ განცხადების და დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 7 დღისა. აღნიშნული წესით შესატანი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს 3 დღის ვადაში.

13.11 ასოციაციის საერთო კრებას უძღვება ასოციაციის თავმჯდომარე ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს ასაკით უფროსი წევრი.

13.12 ასოციაციის საერთო კრების მსვლელობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

**მუხლი 14. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო**

14.1 ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო შედგება 9 წევრისაგან. აქედან 8 წევრი ირჩევა ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით. ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში.

14.2 ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.

14.3 აღმასრულებელი საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ;

ბ) აღმასრულებელი საბჭოს არანაკლებ ორი წევრის მიერ;

14.4 საბჭოს სხდომის მოწვევას უზრუნველყოფს ასოციაციის თავმჯდომარე.

14.5 აღმასრულებელი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება გრძელდება ახალი წევრების არჩევამდე.

14.6 აღმასრულებელი საბჭოს წევრობა შეუთავსებელია საჯარო მოსამსახურედ ყოფნასთან.

14.7 აღმასრულებელი საბჭოს წევრთა შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს ერთი და იგივე საადვოკატო ბიუროს ერთზე მეტი წევრი.

14.8 სხდომის მოიწვევისა და დღის წესრიგის შესახებ არანაკლებ 3 დღით ადრე უნდა ეცნობოს აღმასრულებელი საბჭოს წევრებს.

14.9 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

14.10 გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

14.11 საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომლის შედგენასაც უზრუნველყოფს თავმჯდომარე. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და პასუხისმგებელია მის სიზუსტეზე.

14.12 საბჭო გადაწყვეტილებას იღებს "აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების" სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

14.13 საბჭოს გადაწყვეტილებები აღირიცხება ჟურნალში და განთავსდება ასოციაციის ვებ-გვერზე, სადაც მიუთითებს გადაწყვეტილების ნომერი, სხდომის ჩატარების ადგილი, თარიღი, გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი.

14.14 ასოციაციის თავმჯდომარე უზრუნველყოფს აღრიცხვის ჟურნალის წარმობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ასოციაციის წევრთათვის.

**მუხლი 15 აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილება**

აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია:

ა) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ორგანიზება გაუწიოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიის დადგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;

ბ) კოორდინაცია გაუწიოს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; განსაზღვროს ტესტირების ჩატარების თარიღი, ორგანიზაციულად უზრუნველყოს ტესტირების მომზადება და ჩატარება;

გ) ორგანიზება გაუწიოს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას (განცხადების დაწერას);

დ) შეასრულოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებები;

ე) დაამტკიცოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობა;

ვ) დაამტკიცოს ადვოკატის ორდერის ნიმუში;

ზ) დაამტკიცოს ადვოკატთა საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნიმუში;

თ) დაამტკიცოს ასოციაციის ბეჭდის და სხვა რეკვიზიტების ფორმა;

ი) აწარმოოს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირადი საქმეები;

კ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე, იყოს ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;

ლ) გამოსცეს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენი ან სხვა პერიოდული ორგანო;

მ) განახორციელოს კანონმდებლობითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი, რომელიც არ განეკუთვნება საერთო კრების, თავმჯდომარის, ეთიკისა და სარევიზიო კომისიების კომპეტენციას;

ნ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულება;

ო) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის დებულება;

პ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს პროექტი სახელფასო, სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობის თაობაზე;

ჟ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულება;

რ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის სიმბოლიკა;

ს) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს სტრუქტურულ

ქვედანაყოფთა დებულებები;

ტ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატთა წახალისების ფორმები და წესი;

უ) მიიღოს გადაწყვეტილება პირის ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ;

ფ) მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ;

ქ) განსაზღვროს თავის წევრთაგან ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების კურატორების ვინაობას;

ღ) მისცეს თანხმობა ასოციაციის თავმჯდომარეს უძრავი ქონებისა და იმ გარიგებათა დადების თაობაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება ასოციაციის ბიუჯეტის 10%-ს.

ყ) წაახალისოს ადვოკატები წარმატებული საქმიანობის ან ასოციაციის განვითარებისთვის შეტანილი წვლილის გამო;

შ) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ადვოკატის ჩაცმულობა - მანტიის ფორმა ან განმასხვავებელი ნიშნები;

ჩ) აწარმოოს საადვოკატო ბიუროების რეესტრი;

ც) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ასოციაციის წესდების პროექტი წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

ძ) დაამტკიცოს ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და ორგანიზაციული სტრუქტურა;

წ) ორგანიზება გაუკეთოს სხვადასხვა ღონისძიებებს ასოციაციის წევრებისთვის.

**მუხლი 16. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს აპარატი**

აღმასრულებელი საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს აღმასრულებელი საბჭოს აპარატის დახმარებით. აპარატის წვრები ინიშნებიან ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ. აპარატის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და ორგანიზაციული სტრუქტურა მტკიცდება აღმასრულებელის საბჭოს მიერ.

**მუხლი 17 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე**

17.1 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან კანონით დადგენლი წესით ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 3 წლის ვადით კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

17.2 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

17.3 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ამ პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

17.4 ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ანაზღაურებას იღებს მხოლოდ საწევრო შენატანებიდან.

17.5 ასოციაციის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ასოციაციის მიერ საფინანსო და საბუღალტრო ანგარიშგების სწორად განხორციელებაზე.

**მუხლი 18. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი**

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს ასოციაციის საქმიანობას წესდების მიზნების მისაღწევად;

ბ) წარმოადგენს ასოციაციას სასამართლოში, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) მართავს და განკარგავს ასოციაციის ქონებას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;

დ) ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;

ე) უძღვება ასოციაციის საერთო კრებას;

ვ) ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის აპარატის თანამშრომლებს.

ზ) კოორდინაციას უწევს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას;

თ) ასოციაციის სახელით დებს გარიგებებს;

ი) ადგენს ასოციაციის ბიუჯეტის პროექტს;

კ) ასრულებს კანონმდებლობითა და წესდებით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

**მუხლი 19. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა**

19.1 ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება ახალი თავმჯდომარის არჩევისთანავე

19.2 ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ასრულებს აღმასრულებელი საბჭოს უხუცესი წევრი.

19.3 ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს რიგგარეშე კრების მოწვევას წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესით, ასოციაციის ახალი თავმჯდომარის ასარჩევად.

19.4 ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/5-ს შეუძლია აღმასრულებელი საბჭოს წინაშე დააყენოს ასოციაციის თავმჯდომარის მიმართ უნდობლობის საფუძვლით, მისი ვადამდე გათავისუფლების საკითხი.

19.5 თავმჯდომარის ვადამდე გათვავისუფლების საკითხის დაყენება შესაძლებელია მისი არჩევიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

19.6 აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია შეიტანოს თავმჯდომარის ვადამდე გათავისუფლების საკითხი უახლოესი საერთო კრების დღის წესრიგში ან მოიწვიოს რიგგარეშე კრება, რომელზეც თავმჯდომარისათვის უნდობლობის გამოცხადება არ იქნება ერთადერთი საკითხი.

19.7 თავმჯდომარისათვის უნდობლობის გამოცხადება ვერ იქნება რიგგარეშე კრების მოწვევის ერთადერთი საფუძველი.

## თავი VI. ასოციაციის ეთიკის კომისია

**მუხლი 20. ეთიკის კომისიის შექმნა**

20.1 ასოციაციის ეთიკის კომისია არის საერთო კრების მიერ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არჩეული წევრებისგან შემდგარი კოლეგიური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატთა შესახებ კანონისა და ეთიკის კოდექსის მიზნების და პრინციპების შესრულებას.

20.2 ეთიკის კომისია ხელმძღვანელობს ასოციაციის დისციპლინური წარმოების დებულებით.

20.3 ეთიკის კომისიის წევრად შეიძლება არჩეული იქნას ადვოკატთა ასოციაციის 30 წელს მიღწეული წევრი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

20.4 დაუშვებელია ეთიკის კომისიის წევრებად ერთი და იმავე იურიდიული ოფისის (ბიუროს) ორი ან მეტი წარმომადგენლის არჩევა.

20.5 ეთიკის კომისიის წევრებს არ ენიშნებათ ხელფასი ან სხვა კომპენსაცია.

20.6 ეთიკის კომისიის წარდგინებით ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამტკიცებს ეთიკის კომისიის აპარატს, საშტატო განრიგს და წყვეტს შრომის ანაზღაურების საკითხს.

20.7 წევრის გარდაცვალების ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრის მიღება ხდება რიგგარეშე ან მორიგი საერთო კრების მიერ იმ ვადით, რა ვადაც ჰქონდა დარჩენილი გარდაცვლილ ან კომისიიდან გასულ წევრს. K

20.8 ეთიკის კომისია იკრიბება არჩევიდან ორი კვირის ვადაში.

20.9 ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება საერთო კრების მიერ არჩევიდან და წყდება "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

20.10 ეთიკის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან როგორც თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, ასევე თანამდებობის დატოვების შემდგომ არ გაავრცელონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ამ თანამდებობაზე ყოფნისას.

**დამტკიცებულია**
**ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ**
**2005 წ. -----------------**

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

# წ ე ს დ ე ბ ა

**თბილისი, 2005**

**მუხლი 21. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე**

21.1 ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით 1 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

21.2 ეთიკის კომისიის თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს წევრებისთვის განსახილველი მასალის წინასწარ მიწოდებას, ანაწილებს შემოსულ საჩივრებს.

**მუხლი 22. ეთიკის კომისიის სხდომა**

22.1 ეთიკის კომისიის სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის სხვა წევრის მიერ.

22.2 სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

22.3 ეთიკის კომისიის სხდომების დროს დგება ოქმი, საოქმო ჩანაწერს ასრულებს წევრთაგან არჩეული სხდომის მდივანი.

22.4 სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

22.5 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მიიღება "გადაწყვეტილების" სახით.

22.6 განსხვავებული მოსაზრება ყოველთვის თან ერთვის "გადაწყვეტილებას".

**მუხლი 23. დისციპლინური წარმოება**

23.1 საჩივრების განხილვის წესი და პროცედურა რეგულირდება დისციპლინური წარმოების დებულებით.

23.2 ასოციაციის წევრის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ განცხადებას მიიღებს და განსახილველად გაანაწილებს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

23.3 ეთიკის კომისიის 3 წევრი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განცხადების საფუძველზე შეისწავლის და ამზადებს მასალებს კომისიისთვის წარსადგენად.

23.4 გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო ასოციაციის წევრის გარიცხვის ან უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 7 წევრის თანხმობა.

## თავი VII სარევიზიო კომისია

**მუხლი 24. სარევიზიო კომისიის შექმნა**

24.1 ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრები აირჩევა ასოციაციის საერთო კრების მიერ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

24.2 სარევიზიო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი, რომელიც იმავდროულად არ არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ან ეთიკის კომისიის წევრი.

24.3 სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევიდან და წყდება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სარევიზიო კომისიის ერთ-ერთი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი წევრის არჩევა მოხდება რიგით ან რიგგარეშე საერთო კრებაზე იმ ვადით, რა ვადაც დარჩენილი ჰქონდა წევრს, რომელსაც უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა.

24.4 ასოციაციის საერთო კრება სარევიზიო კომისიის წევრებს აირჩევს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

24.5 სარევიზიო კომისია ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

**მუხლი 25. სარევიზიო კომისიის ფუნქციონირება**

25.1 სარევიზიო კომისია იქმნება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

25.2 სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

25.3 სარევიზიო კომისია თავის დადგენილებებს წარუდგენს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და თავმჯდომარეს.

25.4 სარევიზიო კომისია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსგან, თავმჯდომარისგან, ბუღალტრისგან ან აუდიტორისგან ნებისმიერი ფინანსური ან სხვაგვარი ინფორმაცია, რომლის შესწავლასაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს.

25.5 სარევიზიო კომისია განიხილავს და დადგენილების ფორმით გამოიტანს დასკვნას ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის თაობაზე.

**მუხლი 26. სარევიზიო კომისიის მუშაობა**

26.1 სარევიზიო კომისია იკრიბება მიზანშეწონილობისამებრ.

26.2 სარევიზიო კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობა.

26.3 კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს კომისიის სხდომა, თუკი მას თხოვნით მიმართავს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ან თავმჯდომარე.

26.4 სარევიზიო კომისიის სხდომის დღის წესრიგს ადგენს კომისიის თავმჯდომარე.

26.5 კომისიის ყოველი წევრი უფლებამოსილია კრებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე დღის წესრიგში შეიტანოს დამატებითი საკითხები.

26.6 კომისიის ყოველ სხდომაზე აირჩევა სხდომის მდივანი, რომელიც ადგენს და ყოველ დამსწრესთან ერთად ხელს აწერს სხდომის ოქმს.

26.7 იმ შემთხვევაში, თუკი შესასწავლი საკითხი საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტი ან ექსპერტი. აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია დროულად დაფაროს სპეციალისტის ან ექსპერტის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები ასოციაციის სახსრებიდან.

26.8 სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილება გამოდის "დადგენილების" ფორმით.

26.9 სარევიზიო კომისია დასკვნას ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის შესახებ გამოიტანს "დადგენილების" სახით.

26.10 სარევიზიო კომისიის "დადგენილება" განსახილველად გადაეცემა აღმასრულებელ საბჭოს ან ასოციაციის საერთო კრებას.

26.11 თუკი გამოვლენილი დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე აუცილებელია ზომების დაუყოვნებლივ მიღება, ხოლო აღმასრულებელი საბჭო ვერ ან არ ასრულებს აღნიშნულ დადგენილებებს, სარევიზიო კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს როგგარეშე საერთო კრება ან აღნიშნული საკითხი შეიტანოს მორიგი საერთო კრების დღის წესრიგში.

## თავი VIII. ასოციაციის ქონება

**მუხლი 27. ასოციაციის შემოსავლის წყაროები**

27.1 ასოციაციის შემოსავლების წყაროებია:

27.1.1 საწევრო შენატანები;

27.1.2 შემოწირულობები;

27.1.3 ტესტირების გადასახდელი;

27.1.4 სასწავლო ცენტრიდან მიღებული შემოსავლები;

27.1.5 საქართველოს კანონით ან წესდებით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

27.2 ასოციაციის ქონება გამოიყენება მხოლოდ ასოციაციის მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად.

27.3 ასოციაციის შემოსავლები არ შეიძლება განაწილდეს მის წევრებს შორის.

27.4 ასოციაციის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ყოველწლიურად შედგება ანგარიში შესაბამისი ფორმით და წარედგინება საერთო კრებას.

**მუხლი 28. საწევრო შენატანი**

28.1 ასოციაციის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საწევრო შენატანი.

28.2 საწევრო შენატანი გადაიხდება ფულადი სახით.

28.3 ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

28.4 საწევრო შენატანი განისაზღვრება წელიწადში 200 ლარის ოდენობით.

28.5 აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებზეც უნდა გავრცელდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროს გადახდის ვალდებულება.

28.6 საწევრო შენატანის ძირითადი ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

## თავი IX. საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება

**მუხლი 29. ასოციაციის ბიუჯეტი**

29.1 ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება.

29.2 მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე.

29.3 ბიუჯეტის პროექტის შედგენას ორგანიზებას უწევს ასოციაციის თავმჯდომარე და წარუდგენს მას აღმასრულებელ საბჭოს არაუგვიანეს 1 ნოემბრისა. აღმასრულებელი საბჭო განიხილავს ბიუჯეტის პროექტს არაუგვიანეს 20 ნოემბრისა და მოწონების შემთხვევაში იწვევს საერთო კრებას.

29.4 აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ბიუჯეტის პროექტი თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს თავმჯდომარეს. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარე ვალდებულია ბიუჯეტის პროექტი, შენიშვნების გათვალისწინებით, ხელახლა წარუდგინოს აღმასრულებელ საბჭოს არაუგვიანეს 30 ნოემბრისა ან მოიწვიოს თავისი ინიციატივით საერთო კრება ბიუჯეტის პროექტის დასამტკიცებლად.

29.5 ასოციაციის ბიუჯეტის შესადგენად თავმჯდომარემ შეიძლება მოიწვიოს სპეციალისტი.

29.6 ასოციაციის ბიუჯეტში ხარჯების სახით გათვალისწინებული უნდა იყოს ასოციაციის თავმჯდომარის, ასოციაციის აპარატის, დამხმარე პერსონალის ხელფასები, ოფისის ქირა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

**მუხლი 30. საბუღალტრო აღრიცხვა**

30.1 ასოციაცია ვალდებულია აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით.

30.2 საბუღალტრო აღრიცხვის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია ასოციაციის თავმჯდომარე.

**მუხლი 31. საბუღალტრო ანგარიშგება**

31.1 ასოციაციის თავმჯდომარემ ყოველი საანგარიშო წლის დამთავრებიდან 2 თვის ვადაში უნდა შეადგინოს წლიური ანგარიშგება (წლიურ ბალანსთან ერთად), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში და წარუდგინოს ისინი აღმასრულებელ საბჭოს.

31.2 აღმასრულებელი საბჭო, წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, ამოწმებს წლიურ ანგარიშს, წლიურ ბალანსს, საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის მას და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

## თავი X. ასოციაციის გაუქმება

**და რეორგანიზაცია**

**მუხლი 32. გაუქმების საფუძვლები**

ასოციაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელების გზით.

**მუხლი 33. ლიკვიდაცია**

33.1 გაუქმებული ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ასოციაციის თავმჯდომარე.

33.2 მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ლიკვიდატორი შეიძლება დანიშნულ იქნას იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ასოციაციას გააჩნია ადგილსამყოფელი.

33.3 ლიკვიდაციის შესახებ ლიკვიდატორი აკეთებს განცხადებას პრესაში და მოიწვევს ყველა კრედიტორს მოთხოვნების წარმოსადგენად და დაუწესებს მათ ვადას. ცნობილ კრედიტორებს იგი პირადად ატყობინებს წერილობით.

33.4 ლიკვიდაციის დროს ლიკვიდატორმა:

ა) უნდა დაამთავროს ასოციაციის სახელით დადებული ყველა გარიგება;

ბ) მოახდინოს ქონების ინვენტარიზაცია და შეაფასოს იგი;

გ) მოახდინოს ქონების რეალიზაცია;

დ)რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით დაფაროს კრედიტორთა მოთხოვნები;

ე) განახორციელოს ლიკვიდაციისათვის აუცილებელი სხვა ღონისძიებები

**მუხლი 34. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება**

34.1 დაუშვებელია ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის წევრებს შორის.

34.2 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა ანალოგიური მიზნების მქონე სხვა არაკომერციულ იურიდიულ პირს ან განაწილდება რამდენიმე მსგავს იურიდიულ პირს შორის.

**თავი XI. Gგარდამავალი დებულებები**

**მუხლი 35. გარდამავალი დებულებები**

35.1 ასოციაციის შექმნისას საწევრო შენატანების გადახდა ხდება სადამფუძნებლო კრების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში.

35.2 წესდების პრეამბულა წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, მისი შესრულება სავალდებულოა ასოციაციის არსებობის განმავლობაში. ასოციაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება, დადგენილება ან დოკუმენტი, რომელიც არღვევს პრეამბულით გათვალისწინებულ დებულებებს, თუკი აღნიშნული არ გამომდინარეობს დისციპლინური წარმოების წესებიდან ,ჩაითვლება წესდების საწინააღმდეგოდ და შესაძლებელია შეცილებული იყოს ამ საფუძვლით.

---

*ფეხბურთი*

# ტოპმიოლერი თბილისშია



ცნობილი გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი შეიძლება საქართველოს ფეხბრუთელთა ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. ტოპმიოლერი გუშინ ეწვია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს და დაგეგმილი აქვს ესაუბროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების მწვრთნელად შესაძლო დანიშვნის პირობებზე.

გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში ტოპმიოლერმა განაცხადა: "უაღრესად მოხარული ვარ საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლის გამო. აქ ოთხი დღის განმავლობაში დავრჩები და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს გავმართავ. აგრეთვე იმ ხალხსაც გავიცნობ, ვისთანაც შესაძლოა, მომავალში თანამშრომლობა მომიხდეს".

ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრება. შეგახსენებთ, რომ მის გარდა ნაკრების მწვრთნელობის პოსტზე მოიაზრება სლოვენიელი სპეციალისტი სრეჩკო კატანეცი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად თბილისს ერთ კვირაში ეწვევა.

აგვისტოდან ნოემბრამდე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში გაიოზ დარსაძე ედგა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის პირველმა გუნდმა ორი გამარჯვება მოიპოვა, ორი მატჩი ფრედ დაასრულა და სამი შეხვედრა წააგო. მათ შორის იყო მარცხები სტუმრად დანიასთან (1:6) და ბულგარეთთან (2:6), რამაც გულშემატკივართა და სპეციალისტთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანა.

---

*კალათბურთი*

# ირანული ქრონიკები

მამუკა ხოშტარია

ქართველი კალათბურთელებით დაინტერესებას უკვე დიდი ხანია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იჩენენ და ამ მხრივ არც აზიის ქვეყნებია გამონაკლისი. აზიაში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა ირანს აქვს. ამ ქვეყანაში ნავთობის და გაზის სიუხვის გამო მატერიალურად არ უჭირთ და კალათბურთის დონის ასამაღლებლად ლეგიონერების ჩაყვანასაც არ ერიდებიან. რამდენიმე წლის წინათ საქართველოშიც შეიმჩნეოდა ანალოგიური ბუმი, ლეგიონერებიც მრავლად იყვნენ და ჩემპიონატიც უფრო დაძაბული და მაყურებლისთვის საინტერესო იყო, მაგრამ რატომღაც სპონსორებმა კალათბურთისადმი ინტერესი დაკარგეს და ეს პროცესი შეწყდა. ირანში კი ახლა იწყება. შედეგიც სახეზეა. ამ ქვეყნის ნაკრებმა გასულ წელს აზიის ჩემპიონატი მოიგო. დღეისთვის ირანში 5 ქართველი თამაშობს. ერთ-ერთი მათგანი - მიხეილ ჩიტაშვილი გუშინ 2 დღით, საქართველოში ჩამოვიდა. ჩვენ მას შევხვდით და გავესაუბრეთ.

**- მიშა ირანში თავს როგორ გრძნობ? უცხო ქვეყანაში ადაპტაცია ხომ არ გაგიჭირდა?**

- თავიდან ძალიან გამიჭირდა ირანულ ცხოვრების სტილთან შეგუება. ქართველისთვის ისლამურ რესპუბლიკაში ცხოვრება ადვილი ნამდვილად არ არის. განსხვავებული ტრადიციები, ადათ-წესები... მაგრამ რას იზამ.

**- კარგ გუნდში მოხვდი?**

- ჩემი გუნდი, "ნაფთ თეირანი", პირველი ლიგის ლიდერია. გუნდის მფლობელები ძალებს არ იშურებენ "ნაფთ თეირანის" გასაძლიერებლად. სულ ახლახან ყოფილი "დინამოელი" არმენ ოგანესიანი დავიმატეთ.

**- ენის ბარიერი თუ გადალახე?**

- როგორ გითხრა... თუ მაინდამაინც გამექცა ირანელსაც მოვაბრუნებ.

**- თუ საიდუმლო არაა, კონტრაქტის პირობებზეც ვილაპარაკოთ...**

- გუნდთან ექვსთვიანი კონტრაქტი მაქვს. ცხოვრების პირობებითაც კმაყოფილი ვარ. ჯერჯერობით თეირანის ცენტრში, სასტუმროში ვცხოვრობ, უახლოეს მომავალში ბინას მიქირავებენ. მაგრამ მაინც...

**- მაგრამ მაინც?**

- ნოსტალგია ძალიან ძლიერი გრძნობაა. ყველაფერი მომენატრა: ქალაქი, ხალხი, მშობლები, მეგობრები... ჩამოსვლისთანავე ჩემი მწვრთნელები: ნიაზ დანელია და ვაჟა კვარაცხელია მოვინახულე.

**- საქართველოში ხომ არ აპირებ დაბრუნებას?**

- ჯერჯერობით არა. სამწუხაროდ საქართველოში ერთი-ორ გუნდს თუ მიუწვდება ხელი იმგვარი პირობების შესაქმნელად, როგორიც ირანში მაქვს. იქ კალათბურთისადმი ძალიან სერიოზული დამოკიდებულება აქვთ. კარგ პირობებში გვამყოფებენ. სამაგიეროდ შენგანაც ბოლომდე დახარჯვას ითხოვენ.

**- სხვა ქართველებთან თუ გაქვს კონტაქტი?**

- ყოველდღე ველაპარაკები ირაკლი სორდიას. იგი ჩვენი ძირითადი კონკურენტის ღირსებას იცავს. ასევე ურთიერთობა ირანში მოთამაშე ყველა ქართველთან მაქვს: ბუბა კვიმსაძესთან, კოტე ტულუშთან და დავით მუშკუდიანთან.

**- მიშა, მომავალი როგორ გესახება?**

- ირანი ტრამპლინად მინდა გამოვიყენო. თამაშს ევროპაში ვაპირებ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, იმედია, კარიერას ძველ კონტინენტზე გავაგრძელებ.

---

*ფორმულა 1*

# ალონსო ფორმაში შესვლამდე ტკბება

გასულ წლებში, როდესაც "ფერარი" ბატონობდა საფორმულე ტრასებზე, აბა, ვინ წარმოიდგენდა თუ როგორ ფანტასტიკურ სეზონს მივიღებდით 2005 წელს? ყველაფერი კი "რენოს" გამარჯვებით დაიწყო და მისივე გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ ჩემპიონატის შუაში ფრანგულ საჯინიბოს "ვერცხლისფერი ისრების" – "მაკლარენის" სახით მეტად საშიში მეტოქე გამოუჩნდა, რამაც რბოლას ინტრიგა შესძინა. მიუხედავად ამისა, "რენოს" ესპანელმა მესაჭემ ფერნანდო ალონსომ ფორმულა 1-ის ჩემპიონატების ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა. "რენოს" ესპანელ მრბოლს ახლახან ინტერვიუ ჩამოართვეს და მას ჩვენც გთავაზობთ.

**- ჩინეთის დიდი პრიზის შემდეგ შენზე არაფერი გვსმენია. არდადეგები როგორ გაატარე?**

- კარგად! ვცდილობდი, მაქსიმალური დრო დამეთმო ჩემი ოჯახისთვის და მეგობრებისთვის. მას შემდეგ, რაც სეზონი გახურდება, ამის საშუალება, ალბათ, აღარ მექნება. ასე რომ, დასვენებით ვტკბები.

**- დასრულებული სეზონიდან ყველაზე კარგად რა გახსენდება?**

- ასეთი მომენტი ბევრი მქონდა, მაგრამ ბრაზილიურ რბოლას, სადაც ტიტული მოვიგე, არასდროს დამავიწყდება. დამამახსოვრდა ჩინეთის დიდი პრიზი და, რა თქმა უნდა, "რენოსთვის" მშობლიური საფრანგეთის დიდი პრიზიც, რომელიც ათასობით გულშემატკივრის თვალწინ გამარჯვებით დავასრულეთ.

**- მოდი, ისევ ბრაზილიას დავუბრუნდეთ. ბოლო წრეებზე რაზე ფიქრობდი?**

- რეზინებზე! საბურავები ზღვარზე იყო. ამიტომაც საკუთარ ინჟინერს წამდაუწუმ ვეკითხებოდი, მიხაელი რამდენად ჩამომრჩება-მეთქი. არ მინდოდა, ბოლო მეტრებზე მესამე ადგილი დამეკარგა ("ბრაზილიის დიდ პრიზზე" პირველმა დაასრულა რბოლა მონტოიამ. მეორეზე რაიკონენი გავიდა ხოლო მესამეზე ალონსო. ესპანელს ერთი საფეხურით ჩამორჩა შუმახერი. რედ.). მერე, როგორც იქნა, ბოლო მოსახვევიც გამოჩნდა და...

**- და პირველი რაც გააკეთეთ ის იყო, რომ გუნდს მადლობა გადაუხადეთ. თქვენთვის ეს მნიშვნელოვანი იყო?**

- ძალზე მნიშვნელოვანი! საკუთარი ოცნებისთვის ფრთების შესხმა მხოლოდ იმიტომ შევძელი, რომ ამისთვის ასობით ადამიანი მუშაობდა. თითოეულმა მათგანმა შეიტანა საკუთარი წვლილი გამარჯვებაში. როდესაც რადიოში ვთქვი: "ჩვენ ჩემპიონები ვართ-მეთქი" სწორედ ამას ვგულისხმობდი.

**- სეზონი უცნაურად აეწყო. საწყის რბოლებში აგრესიულად მოქმედებდით, ზაფხულში კი კონსერვატულად. იოლი იყო ასეთ რეჟიმში მუშაობა?**

- დიახ. ტიტულზე უნდა გვეფიქრა. უნდა გაგვერისკა. გვეცადა თითოეული რბოლა მოგვეგო, მაგრამ იმავდროულად ბევრად გლობალური საკითხიც უნდა გადაგვეწყვიტა. კარგად დავიწყეთ სეზონი და კომფორტულ უპირატესობასც ვფლობდით, მაგრამ ვინაიდან ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, "სუძუკაზე" ("იაპონიის დიდი პრიზი") და ჩინეთში ("შანხაის" ტრასა) გარისკვის საშუალება მომეცა.

**- შეიძლება თუ არა, რომ "სუძუკაზე" მიხაელ შუმახერისთვის გასწრება წლეულს თქვენთვის საუკეთესოდ მივიჩნიოთ?**

- ალბათ. ძალზე დიდი რისკი იყო, მაგრამ ლამაზი მანევრი კი გამოვიდა.

**- ჩინეთში გუნდის მუშაობით კმაყოფილი დარჩით?**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ "მაკლარენს" მოვუგეთ დაძაბული ორთაბრძოლა ("ჩინეთის დიდ პრიზზე" ალონსომ გაიმარჯვა, მაკლარენელი კიმი რაიკონენი კი, რომელიც წლეულს ესპანელის ერთადერთი საშიში მეტოქე იყო, მეორემ დაასრულა რბოლა.). მანამდე მხოლოდ ტიტულზე ვფიქრობდი, ჩინეთში კი გავრისკეთ. დავამუშავეთ შასი, ძრავა და დავამტკიცეთ, რომ მათ ("მაკლარენს") სიჩქარეში არ ჩამოვრჩებით.

**- Autosport-მა "საუკეთესო მრბოლელის" ტიტული კიმი რაიკონენს მიაკუთვნა. ამას როგორ უყურებთ?**

- ამაში უცნაურობას ვერ ვხედავ. როდესაც ნიკა ჰაკინენი "მაკლარენთან" გახდა ჩემპიონი, საუკეთესო მესაჭედ მიხაელ შუმახერი დაასახელეს. იგივე შემთხვევა იყო 90-იან წლებში სენასთან დაკავშირებით. ანუ მაშინ, როდესაც "უილიამსი" ბატონობდა, ამბობდნენ, სენა ნებისმიერ საჭესთანაც გაიმარჯვებდა. სინამდვილეში კი ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს მესაჭე და მანქანა. წლეულს უპირატესობა "რენოს" მხარეს იყო და მეც გავიმარჯვე.

**- უახლოეს მომავალში რითი დასაქმდებით?**

- ესპანეთში ერთდღიან ტესტებზე წავალ, იანვარში კი ახალ მანქანას გამოვცდი. იმედია, ახალ სეზონს კარგი ფორმით შევუდგებით.

ტელეკრიტიკა

# რეალობა - რომელსაც მედია გვთავაზობს

ნინია კაკაბაძე

2005 წლის დასასრულს უკვე შესაძლებელია, გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა, თუ გნებავთ, პოზიცია, სიტყვის თავისუფლების მიმართ. სურათი არც თუ ისე სახარბიელოა. წლის განმავლობაში გაიზარდა ცენზურის ფაქტები ხელისუფლების მხრიდან, პროტესტის ფაქტები პრესის წარმომადგენლების მხრიდან, უცვლელი მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულებაა - ისევ ინდეფერენტული, პასიური, მხოლოდ დამკვირვებლის როლში. ის, რომ თანამედროვე სამყაროში მედიას უდიდესი როლი მიუძღვის სახელმწიფო შენების პროცესში, როგორც ეტყობა, ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად გაიაზრა და ამიტომ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო - სრული კონტროლის პირობებში ამყოფოს მედია. ალბათ, აქედან გამომდინარე ხდება, რომ ცენზურა ხშირად ძალადობრივ სახესაც იღებს. ხელისუფლების დიადი და ნათელი მიზანი ახალი სახელმწიფოს შენებისა მათ ამის სრულ უფლებას აძლევს. ნებისმიერი ჟურნალისტი, რომელიც ხელს შეუშლის დიადი მიზნების განხორციელებას, გზიდან გადავარდება. პოზიცია მყარი, არგუმენტირებული, სუბიექტურია - ეს არის და ეს. მედიის წარმომადგენელთა ნაწილიც მათ გადაწყვეტილებას ექვემდებარება, ვინაიდან თვლის – სახელმწიფო განვითარების ეკლიან გზაზე, ნათელი მომავლის მოლოდინში, შესაძლებელია, ყურადღება არ გამახვილდეს შეცდომებზე. მით უმეტეს, თუკი შეცდომა ერთი ან ორი ადამიანის თავისუფლებას, მისი უფლებების დაცვას, რამდენიმე კანონდარღვევის ფაქტს და სხვა ამგვარ "წვრილმან" საკითხებს ეხება. ამიტომ, ასეთი მსოფლმხედველობის ჟურნალისტებთან გაცილებით მარტივია საერთო ენის გამონახვაც და მათზე ძალიან მეგობრული ცენზურის განხორციელებაც, რომელიც ძირითადად სატელეფონო ზარებით შემოიფარგლება: "არ არის საჭირო ამის გაშუქება, იმას ნუ აჩვენებთ, ჩემი ინტერვიუთი დაამთავრე სიუჟეტი და ა.შ." ერთი სიტყვით, ამ სახის "მეგობრული ცენზურა" ძირითადად, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ცენტრში ხორციელდება. ამ სფეროში დეცენტრალიზაციის იდეალურ სახეს მივაღწიეთ. რის შედეგადაც რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა რეგიონებში. რეგიონულ ტელევიზიებსა თუ ბეჭდურ მედიაში, როგორც ეტყობა, სატელეფონო კავშირი საკმარისი არ არის და ამიტომ უკვე საგრძნობლად იმატა ძალადობრივი გზით ბრძოლის ფაქტებმა. მაგალითად, გურჯაანში თავდასხმა გაზეთ "იმედის" მთავარ რედაქტორზე, შემდეგ მის ეზოში ხელყუმბარების შეგდება და ა.შ. ეს ფაქტები სახალხო დამცველის აპარატმა წელს მოიძია და რეგიონებში, ჩვენთვის არასახარბიელო სტატისტიკასაც მიაღწია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონულ მედიაში გაცილებით საგანგაშო მდგომარეობაა, ვიდრე დედაქალაქში. როგორც ჩემთვის ცნობილია, ომბუდსმენის ოფისი ამის გამოქვეყნებას აპირებს, ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ ერთ-ერთ უკანასკნელ ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას და შევეცდები, შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ მომხდარი.

ქუთაისის ტელეკომპანია "რიონში" მომხდარი ინციდენტი. ვიდრე საუბარს დავიწყებდეთ, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ტელეკომპანია "რიონის" მფლობელი და მენეჯერი ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან. უკანასკნელი შედეგი კი ირაკლი იმნაიშვილსა და იმერეთის რწმუნებულს შორის კამათის საფუძველზე, ჟურნალისტისათვის მიყენებული სერიოზული ტრამვებია თავის არეში. მომხდარი ექსცესის ზუსტ აღწერას აღარ დავიწყებთ, მაგრამ არ შეიძლება არ დავადასტუროთ ის, რომ ბობოხიძე კამათის დროს ტოვებს გადაცემას და იმნაიშვილს ზუსტად 10 წუთში შეხვედრას ჰპირდება. სწორედ 10 წუთში, მას შემდეგ, რაც ირაკლი იმანიშვილი გადის სტუდიიდან, მას გარეთ ბობოხიძე და მისი თანამებრძოლი ხვდება. ამ შემთხვევაში უკვე ყოველგვარი შელაპარაკების გარეშე ჟურნალისტს თავში ორჯერ ურტყამენ და ისე ტოვებენ ტერიტორიას. გონებადაკარგული ჟურნალისტი მორიგი თავდასხმის მოლოდინში მეგობარს სასწრაფოდ თბილისში მოჰყავს. არავის დაუნახავს, მუშტის გარდა რა მოხვდა ირაკლი იმნაიშვილს სახეში, მაგრამ სამედიცინო ტომოგრაფიის პასუხი ამბობს, რომ ტრავმა ბლაგვი საგნით არის მიყენებული. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რწმუნებულის ხელი თავად ყოფილიყო ბლაგვი.

თუკი გურჯაანის გაზეთის რედაქტორი, გორის გაზეთის ჟურნალისტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საზოგადოებამ ხმა აიმაღლოს კონკრეტული ჩინოვნიკებისა და ფაქტების წინააღმდეგ, როგორც ირკვევა, არც ეს უკანასკნელი ხდება საკმარისი ამისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმერეთის რწმუნებულთან და ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალისტთან. როგორია რეაქცია და როგორ ხედავს თუ აღიქვამს ამ ფაქტს სხვადასხვა მხარე?

ტელეარხები ან სრულ იგნორირებას უკეთებენ ამ ინციდენტს ან, კი აი, როგორ აშუქებენ: სიუჟეტი: ჯერ პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც აღნიშნავს, რომ სახლში თუ სტუმრად, გვამართებს ზრდილობა და ირაკლი იმნაიშვილს ამგვარი შეცდომა არ უნდა დაეშვა. შემდეგ ტელეკომპანია "რიონის" თანამშრომლები, რომელნიც თვითნებურად გადამდგარი რწმუნებულის პოსტზე დატოვებას ითხოვენ, რამდენიმე აღშფოთებული მოქალაქე და თავად დაზარალებულის პატარა კომენტარი: "მე არ მიუზრდელია". აბა, თუკი არ ვართ საქმეში ღრმად ჩახედულები, ვინ არის დამნაშავე? რასაკვრიველია, ჟურნალისტი! 10 რესპონდენტი ამბობს, რომ კაკო ბობოხიძე კარგი პიროვნებაა, მისი გადადგომა სრულიად დაუშვებელია, ირაკლი იმნაიშვილმა გაუზრდელობა გამოავლინა. მართალია, ტელეკომპანია, მიუხედავად იმისა, რომ ფირი სტუდიაში უდევს, ვერ გვაჩვენებს კონკრეტული უზრდელობის ფაქტს, მაგრამ ნდობის ხარისხი ხომ მაღალია და რატომ არ უნდა დავუჯეროთ მათ სიტყვაზე?! სიუჟეტში არა თუ იმნაიშვილის მხარდამჭერი, არამედ დამოუკიდებელი ექსპერტიც კი არ გამოყავთ, რომელიც იტყვის - განვითარებულ ქვეყანაში რა სახის პრობლემასთან ექნებოდა რწმუნებულს საქმე.

გნებავთ, ასე ყოფილიყო, ირაკლი იმნაიშვილს ვერბალური შეურაცხყოფა მიეყენებინა იმერეთის რწმუნებულისათვის, კანონის დარღვევა მაინც აშკარაა. საჯარო პირს კანონი უკრძალავს ფიზიკურ ანგარიშსწორებას ქვეყნის, და გნებავთ, უცხო ქვეყნის, მოქალაქესთან. მაგრამ, კანონი როგორც არა მაღალი, არამედ ყველაზე დაბალი საფეხური ჩვენს ქვეყანაში, ბუნებრივია, არავის ახსენდება. ამიტომ ქვეყნის უმაღლესი პირიც თავის სატელევიზიო გამოსვლაში, აკმაყოფილებს რწმუნებულის მოთხოვნას, მაგრამ იქვე საუბრობს მის პიროვნულ თუ პარტიულ ღირსებებზე, მის წარმომავლობაზე და ია-ვარდით მოფენილ გზას ულოცავს. თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ პრეზიდენტის გამოსვლა იყო პირდაპირი მოწოდება ყველა ჩინოვნიკისათვის - ფიზიკურად გაუსწორდით ყველა ურჩ და ენატლიკინა ჟურნალისტს. სამწუხაროდ, სააკაშვილის ამგვარი შინაარსის რეპლიკაში არალოგიკური და აბსურდული არაფერია. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ უზენაესი ამ ქვეყანაში ყოველი რიგითი ჩინოვნიკია და არა კანონი. ამიტომ, სახელმწიფოს პირველი პირის არაკომპეტენტური და ზედაპირული შეფასება აბსოლუტურად ადეკვატურია თანამედროვე საქართველოსათვის.

ზოგი ჟურნალისტი თუ პუბლიცისტი კი იმაზე წუხს, ამა თუ იმ მინისტრს დაწესებულების რომელ კუთხეში ჩამოართმევენ ინტერვიუს – საპირფარეშოსთან, კაბინეტთან თუ მოტიტვლებულ მდელოზე. ეს ყოფილა დღევანდელ ჟურნალისტურ ეთიკასა და კვალიფიკაციაში წამყვანი პრობლემა. როგორც ეტყობა, არც საზოგადოება ითხოვს კანონის დაცვას და ნებისმიერი, მისთვის მისაღები თუ მიუღებელი ჟურნალისტის თუ რიგითი მოქალაქის უფლებების დაცვას. რა გაეწყობა, უნდა მივიღოთ თამაშის ის წესები, რომელსაც ძლიერნი ამა ქვეყნისა გვთავაზობენ.

**დაბოლოს**. ვიდრე ჩვენს წერილს დავასრულებდეთ მცირეოდენი კომენტარი "ჯეობართან" დაკავშირებულ საუბრებზე, რომლის მოსმენის უნიკალური საშუალება გასულ ხუთშაბათს მოგვეცა.

მოდით, ყურადღება არ შევაჩეროთ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირზე, რომელთა ბრალდებები და პრეტენზიები, რბილად რომ ვთქვათ, სრულ შეუსაბამობაში მოდის რეალობასთან. მათი საუბრის პათოსი დაახლოებით ამგვარია – რატომ ვიყენებთ ასანთს ან სანთებელას მაშინ, როდესაც ცეცხლის დანთება ორი ქვის გახახუნებით არის შესაძლებელი.

რაც შეეხება ისევ საზოგადოებას. სამწუხაროა, რომ მოწვეულ სტუმრებს რეალობა ის ჰგონიათ, რაც ჯეობარში ხდება, სექსი ის ჰგონიათ, რასაც იქ ხედავენ, სიყვარული თუ სიძულვილიც ის ჰგონიათ, როგორც სძულთ და უყვართ ერთამანეთი ჯეობარელებს. სამწუხაროა, თუ ვინმეს სჯერა, რომ სახელწოდება განსაზღვრავს შინაარსს. "ჯეობარზე" საუბრისას ერთი არგუმენტი არსებობს: ეს კომერციული პროექტია და კერძო კომერციულ ტელევიზიას უფლება აქვს გააკეთოს ის, რაც მას ფინანსურ მოგებას მოუტანს (ცხადია, კანონმდებლობის ფარგლებში). რასაკვირველია, სრულიად ვეთანხმები და ნებისმიერ მაყურებელს მოვუწოდებ, თუკი მოსწონს, შეხედოს მას და თუკი არ მოსწონს, სხვა არხზე გადართოს. ამ უკვდავ ფრაზას რამდენიმე წლის წინაც იმეორებდნენ, მაშინ როდესაც ქართულ ტელესივრცეში ისეთი გადაცემა გაჩნდა, როგორიც "ფსიქოა". მაშინ გადაცემის წინააღმდეგ არა მხოლოდ მართლმადიდებელი მშობლები ილაშქრებდნენ.

ვინაიდან, ამ რეალურ შოუზე და ასევე ჯერ კიდევ გაურკვეველი პერსპექტივის მქონე გადაცემა "ფსიქოზე" მომავალში ვრცელ სტატიას ვგეგმავთ, ტელეკრიტიკის რუბრიკაში, თავს არ შეგაწყენთ, ერთს კი გეტყვით. მხოლოდ მწერალ ბასა ჯანიკაშვილს გაახსენდა, რომ გადაცემა "ფსიქო" ამ პოპულარულმა და რეიტინგულმა შოუმ ჩაანაცვლა და მხოლოდ დღეს ვიკვლევთ სად არის რეალობა?! თუკი, ისევ ბასა ჯანიკაშვილს დავესესხები, რომელიც ამბობს, რომ რეალობა არ არსებობს, არსებობის თუ ცხოვრების სინამდვილე სწორედ იქ და იმ ფილმებში იყო, რომელსაც გოგი გვახარია წარმოგვიდგენდა და არა "ჯეობარში". თუკი დღეს ისევ სინამდვილეს ვეძებთ, მაშინ აშკარად არასწორი მიმართულებით მივექანებით და რეალობას, - ყალბ, დადგმულ, არადამაჯერებელ ახალგაზრდულ შოუში ვპოულობთ.

# ეკა და პოლიტიკა

**ეკა კვესიტაძე**: "დიალოგების" სტუმრები არიან ჟურნალისტი ლაშა ტუღუში და პუბლიცისტი მამუკა ხერხეულიძე. დღეს ვისაუბრებთ ზურაბ ჟვანიას როლზე ქართულ პოლიტიკაში და იმაზე, თუ რა კვალი დაამჩნია მან ჩვენს უახლეს პოლიტიკას. შეიძლება თუ არა, შევაფასოთ ზურაბ ჟვანიას ფიგურა, როგორც უახლესი ქართული ისტორიის პროტაგონისტი?

**ლაშა ტუღუში**: ბატონი ზურაბ ჟვანია იყო ქართული პოლიტიკის ახალი თაობის სახე, მისი ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი ფიგურა და ამას ყველა აღიარებს მისი ყოფილი ოპონენტები თუ თანამოაზრეები.

**მამუკა ხერხეულიძე**: ეს ის შემთხვევაა, როცა გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ მისი წვლილი ქართულ პოლიტიკაში უზარმაზარი იყო. როდესაც საბჭოთა კავშირის ნგრევის დროს შეიქმნა სრულიად ახალი აზროვნება, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო ზურაბ ჟვანია. ის იყო ნიჭიერი და ყველასგან გამორჩეული ფიგურა პოსტსაბჭოთა ეპოქაში და საქართველოში, სადაც არ არსებობდა პოლიტიკური კულტურა საერთოდ.

**ეკა კვესიტაძე**: დამოკიდებულება მისდამი ყოველთვის ორგვარი იყო. ხშირად გვითქვამს, რომ ის იყო დემოკრატიული ინსტიტუტების ფუძემდებელი. ეს იყო პარლამენტში, სამოქალაქო საზოგადოებასა თუ თავისუფალ მედიაში. მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ხშირად დებდნენ ბრალს იმაში, რომ სწორედ მის დროს წარმოიშვა კორუფციული სქემები, ხელისუფლებასა და მედიას შორის, რომელმაც შემდეგ ძალიან დიდი გავლენა იქონია ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში. ასეთი მოსაზრება ძალიან ბევრს გააჩნია, ვინც მედიაშია ჩახედული.

**ლაშა ტუღუში**: ძალიან ძნელი იყო იმ პერიოდში ხელისუფლების სათავეებში ყოფნა. ყველაზე მთავარი რაც მან გააკეთა ამ თვალსაზრისით, იყო ინფორმაციის თავისუფლების აქტის მიღების დაჩქარება პარლამენტში. ჩემთვის ძალიან ძნელია მედიისა და პოლიტიკის კორუფციულ ურთიერთობებზე საუბარი, რადგანაც არასდროს ვყოფილვარ მსგავსი გარიგების მონაწილე და ვერც ვერავის დავაბრალებ. მით უფრო ადამიანს, რომელიც ცოცხალი არ არის, თუმცა ასეთი ინფორმაცია იყო.

**მამუკა ხერხეულიძე**: პრესის, საზოგადოების სხვადასხვა წრეების მოქრთამვა არ დაწყებულა 90-იან წლებში. ეს არსებობდა მანამდე. კომუნისტურ პარტიას ყოველთვის ჰყავდა მაგალითად მწერალთა კავშირი და სხვები. ეს პროცესი გაგრძელდა. ეპოქას გადმოჰყვა ავადმყოფობა.

**ეკა კვესიტაძე**: ხშირად უთქვამთ, რომ ჟვანია იყო შეუდარებლად ყველაზე ნიჭიერი და კარგი მოსწავლე. მიზნის მიღწევის ხერხად კი ინტრიგებს იყენებდა. თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას?

**ლაშა ტუღუში**: ბუნებრივია, ჟვანია იყო ნიჭიერი მოთამაშე პოლიტიკაში. ამას ვერავინ უარყოფს. პოლიტიკა თავისთავად თამაშია და ეს მარტივი პოსტულატია. მთავარია პოლიტიკის ვაჭრობაში არ გაყიდო საკუთარი სამშობლო და ის კომპრომისები, რომელიც აუცილებელია პოლიტიკაში, უნდა იყოს მოქცეული გარკვეულ ჩარჩოებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკური თამაშები თუ პროცესები ჩვენთან 90-იანი წლებიდან მოყოლებული ძალიან რთულად მიმდინარეობს. ერთ მხარეს იყვნენ გამოცდილი ადამიანები კომინისტური წარსულით და მეორე მხარეს სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდები. ამიტომაც მათგან ბევრმა ისწავლა მართვა იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომელიც დახვდათ და რომელიც წინა თაობამ გადმოიტანა. ჩვენ რომ შევძლოთ, ვმართოთ კლასიკური დემოკრატიული პოლიტიკის მეთოდებით, ამისთვის უნდა გვქონდეს სულ სხვა ტრადიციები. ამიტომაც ძალიან რთულია ზოგადად საუბარი იმაზე, თუ რა ჯობს - საჯარო თუ კულუარული პოლიტიკა.

**ეკა კვესიტაძე**: რევოლუციის შემდეგ ჟვანია გახდა მეორე ყველაზე გავლენიანი ფიგურა. გარდა ამისა, როგორც ამბობდნენ, მას ჰქონდა ძალიან დიდი გავლენა სააკაშვილზე. მაშინ გაჩნდა მოსაზრება, რომელსაც იზიარებდნენ არა მარტო ქართველი ექსპერტები, არამედ ამერიკელებიც - ჟვანია იყო მშვიდობის პარტიის თავმჯდომარე და ის უპირისპირდებოდა ომის პარტიას, რომელსაც ქმნიდა ოქრუაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილის გუნდი. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეესაბამებოდა ამგვარი მოსაზრება რეალობას?

**მამუკა ხერხეულიძე**: არ მგონია. ზურაბ ჟვანია იყო პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი და ის მოქმედებდა მოცემულობიდან გამომდინარე. არა მგონია, რომ რაიმე ომის პარტია მართლაც არსებობდეს. უბრალოდ, ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ და ამ გზით გვინდა ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება. თუ ამ გზაზე სავალ ნაბიჯებს შეიძლება რომ დაერქვას ომი, მაშინ მეც ამ პარტიის წევრი ვარ. ჩვენ ვამბობთ, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება გვსურს, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ჩვენ დაგვჭირდეს ძალის გამოყენება? ასე იქცევა ნებისმიერი ქვეყანა, უამრავი თანხები იხარჯება მსოფლიოში თავდაცვისთვის და ჩვენც უნდა გავძლიერდეთ. საერთოდ ასე დაყოფა არ არის სწორი, რადგანაც ჩვენ არანაირ ომს არ ვაწარმოებთ, არც საჯაროდ და არც კულუარულად.

**ლაშა ტუღუში**: ძალინ რთულია დაადო ადამიანს ხელი და თქვა, რომ აი, შენ გინდა ომი! ვიტყოდი, რომ ჩვენთან პოლიტიკოსებს შორის არიან ადამიანები, რომლებსაც არ სჯერათ, რომ კონფლიქტების მოგვარებას შეძლებენ ძალის გამოყენების გარეშე. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში მდგომარეობის დამძიმებას და დაძაბულობას: მეჩვენება, რომ ეს იყო ინერცია, რომელიც წამოვიდა ბათუმის შემდეგ. ცხინვალში შეიქმნა ეკონომიკური პრობლემები, კარგი ურთიერთობები არსებობდა საზღვრის იქითა და აქეთა მხარეს, და ეს აძლევდა ხელისუფლებას საშუალებას, რომ შეეყვანათ კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი ჯარი, კარგად ორგანიზებული სამხედრო ძალა. მგონია, რომ ხელისუფლებას ჰქონდა ილუზია, რომ ეს ყველა ფაქტორი იმუშავებდა და აიძულებდა ცხინვალის ე.წ. მთავრობას, რომ ის წამოსულიყო სერიოზულ დათმობებზე. მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ ჩვენ მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი ვერ გავითვალისწინეთ. სვლა არასწორი იყო. ვითარების განმუხტვა დროულად მოახერხა ჟვანიამ. ზურაბ ჟვანია ძალიან აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში, ძალიან სწრაფად აუღო ალღო ვითარებას და იმ მომენტში ძალიან პოზიტიური როლი ითამაშა. ეს არ იყო მხოლოდ მისი გადაწყვეტილება...

# დანსტი ანტუანეტას უთანაგრძნობს



მსახიობი კირსტენ დანსტი საფრანგეთის ტრაგიკული და სკანდალური დედოფლის, მარი ანტუანეტას როლს შეასრულებს. ფილმის რეჟისორი სოფია კოპოლაა. კირსტენ დანსტი აცხადებს, რომ მას ბევრი საერთო აქვს ანტუანეტასთან, რადგან მასაც ადრეული ასაკიდანვე ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა და წნეხის ქვეშ ყოფნა მოუხდა. "ადვილი არაა, როცა ყველა ჭკუას გარიგებს და შენს განსჯას ცდილობს, ამიტომ მე კარგად მესმის მისი", ამბობს მსახიობი. კირსტენ დანსტი ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ასაკისა, ძალიან ბევრ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული. 12 წლის ასაკში მან უკვე ბრედ პიტთან და ტომ კრუზთან ერთად ითამაშა მთავარი როლი გახმაურებულ ფილმში "ინტერვიუ ვამპირთან". მას შემდეგ 20-ზე მეტ ფილმში გადაიღეს და თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მსახიობად ითვლება. აღსანიშნავია, რომ სოფია კოპოლასთან მას ადრეც უმუშავია. 2000 წელს კირსტენ დანსტმა მთავარი როლი ითამაშა კოპოლას სკანდალურ ფილმში "ქალწულთა თვითმკვლელობა".

# შარლიზ თერონი - ბონდის ახალი მეგობარი



2006 წელს პრაღაში აგენტ 007-ის ახალი სერიის გადაღებაა დაგეგმილი. ფილმის სათაურია Casino Royale. ჯეიმს ბონდის როლს ინგლისელი დენიელ კრეიგი შეასრულებს, რომელსაც მსახიობი შარლიზ თერონი გაუწევს პარტნიორობას.

გადამღები ჯგუფის აზრით, შარლიზ თერონის მონაწილეობით ფილმი წარმატებული იქნება, რადგან ის არა მხოლოდ ლამაზი, არამედ ნიჭიერი მსახიობია. შარლიზ თერონი 2004 წელს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში "მონსტრი" "ოსკარით" დააჯილდოვეს.

# Pro... Group გვირაბში



ინტერპრესნიუსი

დაფუძნდა დიჯეების ასოციაცია.

სანდრო ნავერიანი

შაბათს, 10 დეკემბერს კლუბ "გვირაბში" კომპანია "Pro... Group"-ის პრეზენტაცია შედგა. კომპანიაში გაწევრიანებულნი არიან საქართველოში მოღვაწე ცნობილი და დამწყები დიჯეები. პრეზენტაცია დიჯეი ედგარ სებისის ექსკლუზიურმა Break Beat-მა გახსნა.

Pro... Group-ში გაერთიანდნენ დიჯეები: ბუკა, ქრეიზი, კენზო, ედგარ სებისი, გელა, დარქი და ჯუნო. სავარაუდოდ, მათ შეუერთდებიან დიჯეი ქაოსი და ლილუ.

"ჩვენი მიზანია თბილისში კლუბური ცხოვრების დონის დახვეწა. ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი კლუბით და ღონისძიებებს თბილისის სხვადასხვა კლუბებში გავმართავთ."- განაცხადა Pro... Group-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა პაატა კორძაძემ.

ქართული საკლუბო ცხოვრების დონე რომ ასამაღლებელია, ამაში ეჭვი, რბილად რომ ვთქვათ, არავის ეპარება.

პრესკონფერენცია ცხრაზე დაიწყო, შოუ – დაახლოებით თერთმეტის ნახევრისთვის. პირველ საათამდე ქართველი მოცეკვავე გოგო-ბიჭები მოკრძალებულად მოძრაობდნენ – ჯიბეში ხელებჩაწყობილი ან გულხელდაკრეფილი. ხალხიც არ იყო იმდენი იმ დროისთვის. აი, ორი საათისთვის კი მთელი "გვირაბი" გაიტენა: საცეკვაო მოედანზე, რომ იტყვიან, ნემსს ვერ ჩააგდებდით, იმდენი ხალხი იყო. აცეკვდა ქართველობა და ედგარმაც შეიყვანა. ისე, სიმართლე უნდა ითქვას და ედგარ სებისმა სერიოზული Break Beat" დაუკრა.

ქართველებს ორგანიზების "განსაკუთრებული" ნიჭი რომ გვაქვს, ახალი ამბავი არ იქნება თქვენთვის. არც გუშინწინდელი საღამო იყო გამონაკლისი. უაზროდ შეგვაწუხეს "სეკურიტებმა". ერთ-ერთი მათგანი კი, ეჭვი მაქვს, კლუბში შესვლისთანავე მე მომამაგრეს – სადაც არ დავჯექი და სადაც არ გავედი, ყველაგან დამყვებოდა. ბოლოს კი ვკითხე, რატო დამსდევ-მეთქი. უბრალოდ, ასე ხდება, ემთხვევა, სადაც შენ ხარ, მეც იქ ვჩნდებიო. არა, მართლა უაზროდ გვაწუხებდნენ ყველას. შესვლის დროს კი ისე გაგვჩხრიკეს, თავი სადამ ჰუსეინი მეგონა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შევწუხდი, შიგნით მშვიდად ვიყავი – ვერავინ ისვრის ტყვიამფრქვევიდან და ფარ-ხმალს ვერ დააძრობს ვერავინ.

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ელექტრონულ მუსიკაზე აგებულ შოუებს ექსტაზი ქაჩავს, ანუ, თუ არა ექსტაზი, რაც არ უნდა მაგარი დიჯეი იყოს, ხალხის აცეკვება, აყოლიება ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც Pro... Group-ს ვუსურვებ ისეთი საღამოები მოეწყოს, რომელსაც XTC და LSD არ დასჭირდება. იმიტომ, რომ არავის არ ანიჭებს სიამოვნებას 15 წლის ბიჭის დადებილებული სიფათის ყურება და რაღა თქმა უნდა, ის ბიჭიც ცოდოა.

Pro... Group-ისნაირი კომპანიები, რა თქმა უნდა, თუ არ ააღზევებს, ხელს შეუწყობს თბილისის საკლუბო ცხოვრების დონის ამაღლებას. ასევე მისასალმებელია ისიც, რომ ამ კომპანიაში გაერთიანებულია არა მარტო ქართველი დიჯეები. ეს, გარკვეულწილად, იმის შანსს იძლევა, რომ ქართველი დიჯეებით დაინტერესდნენ უცხოელი პროდიუსერები.

დაბოლოს, ისევ კლუბ "გვირაბს" მივუბრუნდები. ისევ უჰაერობა და მხოლოდ და მხოლოდ უჰაერობა. დანარჩენი ამ კლუბში ყველაფერი უმაღლეს თუ არა, მაღალ დონეზეა.

**P.S.** ჩუმად, მაგრამ მაინც გეტყვით ერთ საიდუმლოს: 31 დეკემბერს "გვირაბში" სერიოზული ფართისთვის ემზადებიან და... დანარჩენს, ოფიციალური განცხადებების შემდეგ გეტყვით.


ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge



ყურადღება!

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინის (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207